E 3074

ეკუმენი

მწყემსმან კეთილმან სული
თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის
იოან. 10—11

№ 1—2 1883—1908 წ. 30 იანვარი

წინ მივდივართ თუ უკან ვიხევთ?

1 ოქტომბერი 1883—წ. 1 იანვარი 1908 წ.

ბოდიშს ვითხოვ თქვენთან, პატივცემულო მკითხველო, რომ ჩვენი საუბარი ნაცვლად ჩვეულებრივი მილოცვისა, აღფრთოვანებული სურვილებისა და იმედებისა, თქვენში დაბადებს მწარე ფიქრებს და დაგიმტკიცებს, რომ ჩვენ წინ კი არ მივდივართ, არამედ უკან ვიხევთ და, სამწუხაროდ, ჩქარის ნაბიჯით. ღმერთო ჩემო! რა აღტაცებით, რა სიხარულით, და რა აღფრთოვანებული იმედებით შევეგებეთ 1883 წლის პირველ ოკტომბერს! ოცდა ოთხი წლის განმავლობაში თვალი არ მოგვიშორებია ჩვენი საცოდავი და დაბეჩავებული საქართველოის საზოგადოების და სამღვდელოების ცხოვრების წადა-უკულმა ტრიალობისთვის; არ დაგვიტოვებია არც ერთი კუნჭული ჩვენი კოხტა ქვეყნისა, რომ არ შეგვეტყოს ჩვენი საზოგადოების და სამღვდელოების ჭირ-ვარამი. ამასთანავე ნიადაგ თვალ-ყურს ვადევნებდით გარეშე ჩვენ უფროს მოძმეთა საქციელს თუ როგორ მზრუნველობას უწევდა და უწევს დღესაც დაობლებულს საქართველოს ეკლესიას—საზოგადოებას და სამღვდელოებას. ოცდა ოთხი წლის შემდეგ ჩვენი აღტაცებული სიხარულის და სხვა და სხვა აღფრთოვანებული იმედების მაგიერ მწარე ფიქრებით შეპყრობილია ჩვენი გული და გონება. აღტაცებისა და სიხარულის ნაცვლად გული გრძნობს მწუხარებას და იმედების ნაცვლად უიმედობა გიწყლავს გულს. დააკვირდი კარგად ჩვენი ხალხის ცხოვრებას. რას ხედავთ თქვენ? საოცრად გამრავლებულია ქრისტეს დროის ფარისეველნი, მწიგნობარნი, სჯულის მოძღვარნი და სადუკეველნი. ყველა ესენი მაცადინობენ გარეგანი ბრწყინვალებისათვის. მაგრამ, სამწუხაროდ და სავალალოდ, მათი გარეგანი ბრწყინვალება არ ეთანხმება მათ შინაგან სულის მდგომარეობას...

ხმა მაღლა ყვირიან: განათლება შემოვიდა, გავიგეთ ყველაფერი. ჩვენში სიბნელე აღარ სუფევს; სასულიერო წოდებას მოშორდა ძველებური სიბნელე. დღეს სამღვდელოებაში არა თუ სემინარიაში, არამედ აკადემიაში კურს დამთავრებულნი ამშვენებენ სამღვდელოების კრებებს...

1868 წლიდან დაარსდა სამღვდელოების კრებები. იმ დროს ათი კრებულისაგან არჩეულ მღვდელს დეპუტატი ეწოდებოდა, დღეს დელეგატს ეძახიან. 1868 წელში მთელს კრებაზე ორი-სამი სემინარელი იყო, დღეს კი აკადემიელებიც ბევრნი არიან, მაგრამ რა გამოვიდა! ამ განათლებული სამღვდელოების კრების ზოგიერთი დადგენილებანი განცვიფრებაში მოიყვანს ძველი დროის სამღვდელოების დეპუტატებს. ავიღოთ თუ გინდ უკანასკნელი სამღვდელოების დელეგატების კრება ქალაქს თფილისში. ამ კრებაზე სამღვდელოების კრებას სხვათა შორის ჰქონდა მსჯელობა ჩვენი ეკლესიის ხაზინის შესახებ. „ცხარე ბაასი გამოიწვია ამ კითხვამ. ბოლოს კრებამ ერთხმად დაადგინა: გაიგზავნოს ექსარხოსთან დაპუტაცია, რომ ექსარხოსმა განგვიმარტოს რა დაწესებულება არის ის დაწესებულება, რომელსაც საეკლესიო ხაზინა ქვიან, საიდგან ეძლევა ამ ხაზინას ფულები და სად ინახება იგი?“ მთელმა კრებამ მოიწონა ეს დადგენილება და აირჩიეს დეპუტაცია და გაგზავნეს ექსარხოსთან. დეპუტაცია იახლა ექსარხოსს, თაყვანი სცა და მოახსენა კრების დადგენილება... სირცხვილი და გამოჭენება მეტიღა იქნება?!. ამდენ ბრწყინვალე დელეგატებში არავინ აღმოსჩნდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ კრებისათვის, განემარტებია თუ რა არის ჩვენში საეკლესიო ხაზინა? საიდან და რისთვის იღებს ფულს და სად ინახება ეს ფულები?!.

როდესაც ეს ამბავი წაიკითხე გაზეთში გამახსენდა ძველი დრო და ძველი დროის ქართველები. ირაკლის სასახლის გვერდზე ერთი მოედანია ხალხის შესაკრებელი, რომელსაც სალაყბოს უწოდებდენ და დღეს ექსარხოსის სახლის წინ მოედანს უწოდებენ. აქ ხალხი შეკრებილიყო და დღესასწაულობდენ თურმე საქართველოს რუსეთთან შეერთებას. ერთს მედღესასწაულეთაგანს, რომ შეეხედა ბევრი ხალხისთვის ეთქვა: ბევრნი ვართ შეკრებილნი და მიწა არ ჩაგვივარდეს და არ ჩავცვინდეთო. ამ სიტყვებს გამოუწვევია კითხვა, თუ რაზეა დამყარებული ქვეყანა. მედღესასწაულეებში არავინ აღმოჩნდა თურმე მისი მცოდნე თუ რაზეა დამყარებული ქვეყნიერობა. მთელს კრებას ერთხმათ გადაეწყვიტათ: გაეგზავნათ დეპუტაცია სემინარიის რუს-რექტორთან ⰴ ეთხოვათ რომ აეხსნა მათთვის, თუ რაზეა დამყარებული ქვეყნიერობა. დეპუტაცია ხელ-ცარიელი არ მისულიყო რექტორთან, მშვენიერი მოსაკითხი მიერთმიათ კახური ღვინით. რექტორსაც მიერთმია და აეხსნა კარგად გაგზავნილი დეპუტაციისათვის თუ რაზედ არის დამყარებული ქვეყნიერობა. რექტორის განმარტება ვგონებ ყველამ იცის და ჩვენ აღარ გავიმეორებთ... რაღა განსხვავება არის ასი წლის წინეთ მცხოვრებთა და ეხლანდელ განათლებულ დელეგატთა შორის? დიახ, შესანიშნავი კრება იყო სწორეთ ეს უკანასკნელი კრება... ერთად ერთი დელეგატი ნ. თ. იბრძოდა და ლაპარაკობდა დანარჩენი მისი თანამოძმენი კი ენას უყოფდენ და ქირქიტობდენ...

ამ კრებამ თავი ისახელა კიდევ ერთი კითხვის დადგენილებით. 1887 წელში ერთ სამღვდელოების კრებას მიეცა წინადადება ჟურ. დაარსებაზე. სამღვდელოების კრებამ გამოაცხადა ჟურნალის გამოცემის სურვილი, მაგრამ მაშინდელი კრების აზროვნება ⰴ სურვილი დიდათ განირჩევა ეხლანდელი „განათლებული“ დელეგატების დადგენილებისაგან. 1887 წ. დაადგინეს, რომ ჟურნალი ძალდატანებით არავისთვის გამოეწერინებიათ და ღარიბი ეკკლესიები განეთავისუფლებიათ. თუმცა დაპირდენ ამას ყველას სამღვდელოებას, მაგრამ ჟურნალი ჩვენს ეკკლესიებს კარგა ბლომა ფულად უჯდებოდა და საქართველოს სამღვდელოების ლანძღვა გინებას ამ ჟურნალში დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი. „განათლებული“ დელეგატების კრებამ ეხლანდელ დროში საოცარი დადგენილება გამოაქვეყნა. „ჟურნალი დაარსდეს, პასუხის მგებელ რედაქტორად დაინიშნოს ექსარხოსის შეხედულობით რუსი და ძალით გამოაწერინონ ყველას“... დიაღ, შესანიშნავი დადგენილებაა! იმ დროს როცა ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება არის, იმ დროს როცა გაზეთები გამოიცემიან და ძალა დაუტანებლად ვრცელდებიან, დელეგატები კი სტრაჟნიკების—ბლაღოჩინების საშუალებით თხოვილობენ ჟურნალის გავრცელებას. რისთვის დაადგინეს ძალით გამოწერა ჟურნალისა დელეგატებმა? მისთვის, რომ ეპარქიალური ჟურნალი ყველა სამღვდელოებას სძულს ჟამივით, რადგან საინტერესო საკითხავს ვერასოდეს ვერ შეხვდება მასში. ეპარქიალურ ორგანოს უმთავრესად მღვდელ-მთავრების ქება-დიდება აქვთ სახეში და არა სალიტერატურო სწავლა-მეცნიერება. ამასთან იცის კარგად სამღვდელოებამ თუ რა მოელის ღარიბ ეკკლესიებს ამ ჟურნალის დაარსებით. იცის კარგად, რომ იქ უმეტეს ნაწილად სასწავლებლების და შაგირდების ერთი კლასიდან მეორე კლასსში გადაყვანის ამბებს ექნება ადგილი და ესენი საინტერესოდ არავის მიაჩნია... ჩვენ გვეგონა, რომ ქალაქის განათლებული სამღვდელოება შეიკრიბებოდა ⰴ გამოსცემდა ისეთ ჟურნალს რომლის გასავრცელებლად „სტრაჟნიკები“ საჭირო არ იქნებოდა. ეს მოხდებოდა მაშინ, რომ ჩვენ წინ მივდიოდეთ, ⰴ წინ კი არა უკან ვიხევთ... უკან დახევა იმდენად სამწუხარო არ არის, როგორც ქრისტეს დროის ფარისევლების, მწიგნობრების, სჯულის მოძღვრების და სადუკელების გავრცელება. დღევანდელი თავგამეტებული პატრიოტი ხვალ მესამე განყოფილების მოხელედ ხდება. დღეს მთელი ხალხის კეთილდღეობის მოსარჩლე ხვალ სრულებით სხვას ქადაგებს... ერთ დროს, რომ ზოგიერთები ქართულად თუ მოაწერდენ რუსულად დაწერილს ხელს, თორემ რუსულად არას გზით! დღეს ქართულად დაწერილს საქმის ქალალდებს რუსულად თუ მოაწერს ხელს, თორემ ქართულად ხელის მოწერას შეუძლებლად რაცხს!..

აიღეთ და წაიკითხეთ გაზეთები. რა ხდება? რა ამბავია? ხშირად კითხულობთ გაზეთებშ...

„კატების ⰴ ბავშვების მოტაცება. მეორე გილდის ვა-

ჭარმა მინას რაიმოვმა, უგოლნი ქუჩაზე მცხოვრებმა, პოლიციას გამოუცხადა: ჩემი შვილი, 7 წლის ბავშვი იონატამი საღამოს 7 საათზედ დუქნიდან ბრუნდებოდა სახლში. ბავშვს გზაზედ ვილაც დაეცა, ჩასვა ეტლშიდ და სადღაც გააქანაო. რაიმოვმა პოლიციას დაუსახელა ერთი მეეზოვე, რომელსაც უცნობთათვის უჩვენებია რაიმოვის ბავშვზე და ეტლიც მოუყვანია მათთვის."

განა ეს პირველი შემთხვევა არის? რამდენი ხდება ამისთანა სამწუხარო ამბები. ამისთანა ზნეობით დაცემის დროს ნაცვლად იმისა, რომ კაცების მტაცებლებზე სთქვან რამე, დაგმონ მათი მოქმედება და ამხილონ მათი დაცემული ზნეობა, გამომდგარან და ისეთს საგნებზე უკითხავენ ლექციებს ხალხს და ისეთ კითხვებზე ლაყბობენ, რომლიათც ერთი გახვრეტილი კაპეიკის სარგებლობა არ შეუძლია მოუტანოს ხალხს, წინააღმდეგ ხალხის ზნეობით დამდაბლებას დიდად შეუწყობს ხელს. მაგრამ შეგიძლიათ დააჯეროთ პაწაწინა ტვინის კაცები მათ შეცდომაში?..

სადუკევლების ლიდერი, სასწაულთ მომქმედი ექიმი, ივანე გომართელი, რომელიც ჩვენ ხალხს დაპირდა რუსეთის სახელმწიფოს ორ კვირაში სასწაულებრივად გარდაქმნას, თავისუფლების, ერთობისა და თანასწორობის დამყარებას და პროლეტარიატობის მოსპობას, დღეს მიატოვა წერა რუსეთის უცფად გარდაქმნაზე და ვითომ „ახალ სწავლა მეცნიერებას" ქადაგებს. რაც ძალი და ღონე აქვს იჭაჭება, წელებზე ფეხს იდგამს და ხალხს უმტკიცებს, რომ არ არის მკვდრეთით აღდგომა და არ არის სულიო!.. ქრისტეს სახარება მღვდლებმა დაამახინჯეს, თორემ ქრისტე ხალხს უქადაგებდა, რომ ცოლები გასაზოგადოებული უნდა იყვნენ და არა ერთ კაცს ეკუთვნოდენო. ამის დამამტკიცებელი საბუთი, რომ მოსთხოვოთ, შეიძლება გითხრასთ: სალომემ ასე მითხრაო!.. გომართელმა არ იცის, რომ მისი მოძღვრება ახალი არ არის, სადუკევლებიც იმას ქადაგებდნენ ქრისტეს დროს რასაც დღეს იგი ქადაგებს, მაგრამ არ მიიღო და არავინ არ შეიწყნარა ეს სწავლა... ერთი ვკითხოთ გომართელს, რას აძლევს იგი ხალხს იმის ნაცვლად რასაც ართმევს მას თავის უჯერო ქადაგებით? არაფერს. გომართელი თავს მართლულობს მით, რომ მე ამ რწმენის ვარო და ვის რა უნდაო? მართალია, რა ახირებული რწმენისაც უნდა იყოს კაცი ვის რა უნდა? მაგრამ ყველა ვალდებულია თავის ახირებული რწმენა, რომელსაც ზარალის მოტანის მეტი არა შეუძლია-რა, თავისთვის საიდუმლოდ უნდა შეინახოს. მართალია თავის მოყვარეობა არ აძლევს განსვენებას, მაგრამ ზოგიერთებს, სურსთ თავი გამოიჩინონ ახალი აზრების გამოთქმით, მაგრამ გომართელის სადუკევლობა ხომ დიდი ხნის ანბავია და ის არ არის პირველი სადუკეველი.

დიაღ, მართლად არის ნათქვამი საღმრთო წერილში: „როცა ეგონათ თავის-თავი ბრძნად მაშინ გასულელდენო." მართლა ბევრნი არიან ეხლანდელ დროში „ბრძენნი" გასულელებულნი!.. მათი რიცხვი ბევრია. ამისთანა მქადაგებელთ მსმენელნიც ბევრნი ჰყავსთ და მალეც შეითვისეს მათი მოძღვრება! ზოგიერთ ადგილას ქალებმა მოითხოვეს, რომ ცოლქმრობის დრო განისაზღვროსო. ერთ კაცთან ნიადაგ ყოფნა არ ვარგაო! ყველას უნდა ჰქონდეს ნება სამის ან ხუთი წლის შემდეგ ვისთანაც სურს მას წაყვესო. მეორენი ამბობენ მღვდელის პუტუნი რა საჭიროა და გვირგვინის კურთხევაო? განა ისე არ შეიძლება, რომ ერთად დაიწყონ ქალმა და კაცმა ცხოვრებაო?!. დიაღ, განათლება შემოვიდა ჩვენში, მაშ რა არის! გავასწარით ინგლისელებს და ამერიკელებს!..

გამრავლდნენ ცრუ წინასწარმეტყველნი და ცრუ მქადაგებელნი, გამრავლდენ ფარისეველნი, სადუკეველნი და მწიგნობარნი. ყოველი მხრიდან მგელნი უთვალთვალებენ ცხოვართა მოსატაცებლად და არსაიდან არ ისმის მწყემსთა ქაქანი და შეძახება. მწყემსთა სძინავსთ და ცხოვარნი ლამის განიბნენ, რადგან აღარ ესმისთ ხმა თავიანთ მწყემსთაგან ერთათ შეკრებისა და მასთან ერთად შეგროვებისა...

ყველა ის ღვარძლი რაც დაითესა და ითესება უკეთურთაგან აღმოცენდება შემდეგში და ძლიერ ცუდ ნაყოფს მოიტანს ჩვენი ხალხისათვის, ძლიერ მწარე შედეგი მოყვება იმას როგორც მწყემსთა ისე სამწყსოთათვის. მაშინ ყველანი დარწმუნდებიან, რომ ჩვენ წინ კი არ მივდიოდით, არამედ უკან ვიხევდით და მხოლოდ ქვეყანას ვატყუებდით როცა ვფიქრობდით რომ ამერიკელებს და ევროპიელებს წინ გავასწარითო...

სოფლის ხუცესი.

საეკკლესიო წიგნთსაცავების დაარსება

1907 წლის ჩვენი ჟურნალის ხელის მომწერთ დაურიგდათ შემდეგი გამოცემანი.

რამდენი ცალი	წიგნების სახელები	
1	ანდრია ქრისტეს მიმართ სალოსისა	25 კ.
4	ცხოვრება მაკარი ეგვიპტელისა	20 კ.
6	ლოცვანი	25 კ.
4	ცხოვრება ღირსისა დედისა თეოდორასი	20 კ.
4	წამება რაუდენისა	20 კ.
4	ბრძნული სიტყვები	40 კ.
6	ცხოვრება დიდისა მოწამისა ევსტატესი	30 კ.
1	ცხოვრება ღირ. მამისა დავით გარეჯელისა	10 კ.
4	ცხოვრება შვიდთა ყრმათა ეფესელთა	20 კ.
3	ცხოვრება და წამება იაკობ დაჭრილისა	15 კ.
2	ზეპირი საგალობელნი	50 კ.
8	ცოლ-ქმრობა	40 კ.
2	წმიდა დიდებული მოწამე ვასასი	10 კ.
2	ფილოსოფოსი სოკრატი	10 კ.
4	წმიდა გიორგი	20 კ.
2	მთავარ-მოწამე დავით და კონსტანტინე	10 კ.
3	წამება წმიდისა ევსეგნისა	15 კ.
1	მანანა	25 კ.
3	სიბრძნე ბალავარისა	30 კ.
2	ცხოვრება ღირსისა ალექსი ღვთისა კაცისა	10 კ.
1	თეოდორე ჯვარმტვირთველისა	5 კ.
1	ღირსისა მამისა ილარიონ ქართველისა	5 კ.
2	ხალხი და ეკკლესია—	

„მწყემსი“-ს რედაქციის გამოცემანი.

1	საქართველოს ძველი დროის თავგადასავალი.	40 კ.
2	მკვდარ ცორხალი	
4	ჯვართ-ამაღლება	8 კ.
4	მეზვერე და ფარისეველი	8 კ.
4	მარტყოფის მონასტერი და ღირსი მამა შიო მღვიმელი	20 კ.
2	სამგვარი სიკვდილი	10 კ.
2	ღვთისშობლის მიძინების სვინაქსარი	10 კ.
1	სიტყვანი და მოძღვრებანი	20 კ.
2	როგორ უნდა იდგე ეკკლესიაში ლოცვის დროს	
2	ვნებანი ქრისტესნი	

20553 გამოცემანი არიან გადმოცემულნი ჩვენზე სხვა და სხვა პირთაგან, რომელნიც შეკრებილან და ჭეშმარიტი ქრისტიანული გრძნობით აღძრულნი არაფერს არ იზოგავენ, რომ დაეხმარონ ჭეშმარიტ ქრისტიანობის სარწმუნოების და კეთილზნეობის განმტკიცებას ჩვენში და რომელთაც არა სურსთ თავიანთ თავის გამოცხადება, ამ წიგნებს დაუმატეთ ჩვენი რედაქციის გამოცემანი ათი ათასი და სულ შესდგა 30553 წიგნი. აი ეს წიგნები ეგზავნება ჩვენი ჟურნალის ხელის მომწერთ ამ წიგნებისაგან ბევრი გადავეცით საიმედო სასულიერო და საერო პირთაც, გასავრცელებლად ხალხში, მაგრამ კიდევ კარგა ბლომად არის დარჩენილი.

ორი-სამი წლის შემდეგ მაცადინი მოძღვარი ადვილად დაარსებს თავიანთ ეკკლესიასთან პატარა წიგნთსაცავს, რომელსაც არა მცირე სარგებლობას მოუტანს თავის სამწყოს.

ვისი მოვალეობაა თუ არა მწყემსთა, რომ ეს კეთილი თესლი სთესონ მათ ქრისტეს ყანაში. ჩვენ კეთილმა კაცებმა აღგვითქვეს კიდევ სხვა წიგნების გარდმოცემაც დასარიგებლად სამწყსოთა შორის. ამ წიგნებში ბევრი მშვენიერი წიგნებია და ჩვენ მღვდლებს არა თუ წაუკითხავსთ, არამედ არც კი გაუგონია ამ წიგნების სახელები. ბევრი წიგნი გვექნება დასარიგებელი ამ წელშიც ჩვენი ჟურნალის „მწყემსი“-ს ხელის მომწერთა მოძმეთათვის ჯ საეკკლესიო წიგნთ-საცავებისთვის და ხალხთა საკითხავად.

გთხოვთ და გევედრებით, მამანო, ძმანო და შვილნო, მიიღეთ შრომა, სთესეთ თესლი კეთილი ქრისტეს ყანაში, რომ მათი ნაყოფით დაჰტკბენ სამწყსონიც და მწყემსნიც.

რედ. დეკ. დ. ღამბაშიძე.

ცეცხლი და მახვილი კავკასიაში.

(წერილი გერმანიიდან).

ახლა ხანად ლონდონში გამოვიდა ინგლისურ ენაზე შემდეგი წიგნი: „Fire Sword in the Caucasus" („**ცეცხლი და მახვილი კავკასიაში**") ავტორი ამ წიგნისა ინგლისელი მოგზაური **ლუიჯი ვილლარის**, მოგზაურობდა კავკასიაში **1905** წ. დამლეგს.

სანამ წიგნის შინაარსს გავაცნობდეთ მკითხველს გვინდა ორიოდე სიტყვა ვსთქვათ საერთოდ ევროპიელთა მოგზაურობაზე ეავკასიაში და კერძოთ საქართველოში.

საქართველო მეთუთხმეტე საუკუნიდან იქცევდა უკვე ევროპიელთა ყურადღებას და რომიდან ხშირად ესტუმრებოდენ ხოლმე პაპის მისიონერები, რომელთაც აზრათ ქონდათ კათოლიკობის გავრცელება საქართველოში. ამ მოღვაწეობის ნაშთები აქამდე დარჩენილია ჩვენში და ამიტომ მე ვგონებ ყველასათვის თვალსაჩინოა. ისტორია ეგრეთვე იხსენიებს მეფე ირაკლის და საფრანგეთის მეფის დამოკიდებულებაზე (იხ. ზ. ჭიჭინაძის წიგნაკი). რუსეთის პოლიტიკის გამეფების შემდეგ კავკასიაში და საქართველოში—დაიწყო ევროპიელთა ხშირი მოგზაურობა, მაგრამ უმრავლესი მათგანი საქართველოში, როგორც ვაჭარი ისე მოდიოდა და საქართველო მას სრულებით არ აინტერესებდა. ჩვენ ეხლაც ბევრი უცხოელები გვყავს ჭიათურაში და ბათუმში, მაგრამ ისინი ჩვენი ქვეყნის ევროპასთან დაახლოვებაზე არ ცდილობენ. ამათ გარდა ჩვენში ხშირად მოდიან ფრანგი, ინგლისელი და გერმანელი მოგზაურები, რომელთაც ჩვენი ქვეყანა მართლაც და აინტერესებთ.

დიდი ხანია მაგალითად თბილისში დასახლდა გერმანელი ცნობილი მწერალი არტურ ლაისტი, რომელმაც ძლიერ კარგად იცის ქართული ენა და საქართველოზე დასწერა წიგნი, რომლის შინაარსსაც მკითხველს შემდეგისათვის გავაცნობთ.

ამას გარდა საქართველოში შარშან მოგზაურობდა ამერიკელი მწერალი ნევენსონი, რომელმაც სამშობლოში დაბრუნების შემდეგ საქართველოს აოხრებაზე რამოდენიმე ფელეტონი მოათავსა ამერიკულ გაზეთებში.

ხუთი წლის წინად ჩვენ ქვეყანას ესტუმრა ინგლისელ უარდრეპის ოჯახობა, რომელთაც საქართველოს შესახებ წიგნი გამოსცეს ინგლისურ ენაზე.

თუმცა ყველა ამ მოგზაურთა აზრი საკმარისი არ არის საქართველოზე და ხშირად შემცდარიც, მაგრამ უფრო სასიამოვნოა, როდესაც უცხო ენაზე კითხულობ შენი ქვეყნის აწერილობას. ჩვენი ვალია, რომ ევროპას ჩვენი თავი გავაცნოთ უფრო დაწვრილებით და საფუძვლიანად ვიდრე ეს მოგზაურები შვრებიან.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, როდესაც ჩვენი ქვეყნის შესახებ ინგლისურ ენაზე გამოდის რაიმე წიგნი, რადგან ინგლისელები დღეს უპირველესს ნაციად ითვლებიან მთელ დედა-მიწაზე და სხვა ევროპიელებზე უფრო გონივრულად უკვირდებიან ყველაფერს.

ეხლა კი გადავიდეთ წიგნის შინაარსზე, იგი შეიცავს 340 გვერდს და შეეხება მთელ კავკასიას, მხოლოდ იწყებს საქართველოდან.

წინა-სიტყვაობაში ავტორი ეხება საერთოდ რუსეთის პოლიტიკურ მდგომარეობას და კავკასიის ერებს, მათ ნაციონალურ მისწრაფებას და პარტიებს. შემდეგ პატარა ნუსხაა კავკასიის პოლიტიკური მოძრაობის მოყვანილი.

ბირველი თავი ეხება კავკასიის ერებს და მათ ისტორიას. ავტორი აღტაცებით იხსენიებს კავკასიას, იგი ამბობს: „ბუმბერაზი მთები, გასაშტერებელი სიმშვენიერე ბუნებისა, სიმდიდრე და სიუხვე მცენარეულობისა, კრებული სხვა და სხვა ერთა, რომელნიც სხვა და სხვა ენაზე ლაპარაკობენ, სასტიკი წარსული და ძლიერი ისტორიული ნაშთები, ყოველივე ეს ადამიანს გაოცებს და გაინტერესებს".

შემდეგ გეოგრაფიული აღწერაა მთელი კავკასიის და ეგრეთვე ეთნოგრაფიული ცნობები.

დიდი ყურადღებით ეჭცევა ავტორი საქართველოს ისტორიას. უსურვებდით ჩვენ ინტელიგენციას ისე შეესწავლოს თავის სამშობლოს ისტორია როგორც ამ ინგლისელს. ავტორი ვრცლად ლაპარაკობს რუსეთის პოლიტიკაზე და საქართველოს დამონებაზე. იგი ეგრეთვე იხსენიებს აფხაზებს ჯ ქობულეთლებს.

ვრცლად ახასიათებს გარუსების პოლიტიკას კავკასიაში, იმასაც აღნიშნავს, რომ გარუსება სამწუხაროდ შესაძლებელია, რადგან თათრები მაგ. სრულიად შეუვნებელი ეროვნებაა. არ ტოვებს გაუმათრახებელს „ჩინოვნიკებს", რომელთაც ბევრ ავა-

ზაკობას აბრალებს კავკასიაში.

მეორე თავში აწერილია ოდესიდან მოგზაურობა ბათომამდე. ძლიერ აქებს ბუნებას და ფოთის ნავთსადგურის აწერის დროს იხსენიებს ნ. ნიკოლაძეს, რომელსაც ენერგიულ კაცად ასახელებს.

მესამე თავში აწერილია ბათომი. ძლიერ მოსწონს ბათომის მდებარეობა და გარეშემო მთები, აქებს ეგრეთვე ალექსანდროვის ბაღს, მხოლოდ ბათომის ჭაობები არაფრად მოსწონს. ქალაქს ოსმალური ელფერი აქვს, რადგან ბევრი ოსმალები და ბერძნები არიანო. ლაპარაკობს ეგრეთვე ნავთის ქარხნების დახურვაზე და როგორც სამწუხარო მოვლენას ისე აღნიშნავს. დაუთვალიერებია ეგრეთვე ჩაქვის ჩაის ბაღები და ბათომის გარეშემო სააგარაკო ადგილები. ბათომში გაუცვნია ერთი ექიმი, რომლის გვარსაც არ დავასახელებთ და იმისთვის დაუწყია ლაპარაკი ქართველებზე, მაგრამ რადგან მან არც ერთი უცხო ენა არ იცოდა, ამიტომ თარჯიმანი დამჭირდაო, მაგრამ საუბედუროდ თარჯიმნად ვილაც ქუჩის ბიჭი იტალიანი მომიყვანეს, რომელსაც არც რუსულათ და არც იტალიანურათ ლაპარაკი არ შეეძლოო. სწორედ დიდი სირცხვილია იმ ექიმის მხრივ, რომ ვინმე განათლებული თარჯიმანი ვერ მონახა, რომლებიც ბათომში ყოველთვის საკმარისად იპოვება.

მეოთხე თავში აწერილია ქუთაისი. სახლები და ქუჩები რაღა თქმა უნდა არ მოსწონს, მაგრამ არც ჩვენი ქალები მოსწონს და ამბობს ქართველი მამაკაცები ქალებზე უფრო ლამაზები არიანო. ინახულა ეგრეთვე გელათის მონასტერი და მოწამეთის, აღტაცებულია გელათის მონასტერზე, მის დიად მდებარეობაზე და ისტორიულ მნიშვნელობით. არქიმანდრიტს ემადლიერება ძლიერ კარგად მიმიღო და ყოველივე დამატარაო, ეგრეთვე თავის სახლში დამპატიჟა და გამიმასპინძლდაო. რადგანაც რუსულს ვერ ახერხებდა კარგად ძველი ბერძნულით დამიწყო ლაპარაკი და სრულიად გაოცებული დავრჩი როდესაც ამ მოხუცებულმა მოძღვარმა შემდეგი სიტყვებით მომმართა წამოსვლისას: „ჩვენ ეხლა გვაწამებენ ჩვენი პოლიტიკური ბატონები და მალე დაგვიდგება დრო, როდესაც გავინთავისუფლებთ თავს ამ მონობიდანაო“. ქუთაისზე საერთოდ შემდეგს ამბობს ავტორი:

„ქუთაისში ბევრი განათლებული ქართველები გავიცანი, ქართველები მწერალი ხალხია და ბევრი მწერალიც ყავთ. ქართული გაზეთები გამოდის თბილისში. ძველი მწერლებიდან ყველაზედ ცნობილია შოთა რუსთაველი და ახლებიდან თავადი ილია ჭავჭავაძე, არსებობს ეგრეთვე ქართული სცენა. მწერლები ამავე დროს პოლიტიკური მოღვაწენიც არიან“.

„ქართველები სიმპატიური ხალხია, ზრდილობიანი, მოყვარული და გულ უხვი, მაგრამ გამოუცდელი, წინ დაუხედავი და ბედოვლათი. მაგალითად ქართველ თავად-აზნაურობამ ამნაირად დაჰკარგა მთელი თავისი ქონება“.

„მე ვესტუმრე რამოდენიმე ქართველს ოჯახში და ძლიერ დიდი სიამოვნებით მიმიღეს, სახლის მოწყობილობაც კარგი აქვთ. ფრანგულის მოლაპარაკეს ბევრს შევხვდი, ინგლისური და გერმანული კა არავინ არ იცის“.

ქუთაისი ნამდვილი ქართული ქალაქია და ქართული ხასიათიც აქვს შერჩენილი და მიუხედავათ გარუსების პოლიტიკისა ქართული სული მაგრად არის და იქნება კიდეცო ამბობს ავტორი. გოლიცინს უნდოდა გლეხობა თავადების წინააღმდეგ აეყენებია და ამითი ორივე მხრის ძალა შეესუსტებინაო.

ჩვენ გვგონია, რომ ეს აზრი შემცდარია, მაგრამ აქ არ გამოუდგებით მის დარღვევას.

შემდეგ ავტორი ლაპარაკობს ჭიათურის მაღაროებზე.

უფრო ვრცლად ავტორი ეხება ქართულ პოლიტიკურ პარტიებს, მათ პროგრამებს და მუშაობას ხალხში. როგორც მოსალოდნელი იყო ავტორი სრულიად მიუდგომლად ეხება ამ საკითხს და მხოლოდ იმისათვის, რომ ინგლისელებს გააცნოს ჩვენი პოლიტიკური მოძრაობა. ამ მხრივ საინტერესოა მისი აწერილობა მიტინგის, რომელზედაც თითონ დაესწრო ქუთაისში. ბოლოს რამოდენიმე სიტყვას სტარბესელსკიზე ლაპარაკობს და მოსწონს მისი შეხედულება საქართველოზე, ამასთანავე იხსენიებს თუ რა შევიწროებულ მდგომარეობაშია იმერეთის გლეხობა. ამით ეთხოვება ქუთაისს.

მეხუთე თავში აწერილია გურიაში მოგზაურობა. ავტორი გურულებს გამბედავ, ჭკვიან, ზრდილობიან და სტუმართ მოყვარე ხალხათ იხსენიებს. ამას უკვირს, რომ თითქმის ყოველ სოფელში ბიბლიოთეკაა და სკოლა მოწყობილი. აქვე იხსენიებს ლევ

ტოლსტოის წერილს გურულებისადმი, რომელშიდაც იგი სიმპატიას უცხადებდა გურულებს. შემდეგ გურიის ბუნებას, ზნეობას და ჩაცმულობას აღწერს და თუ როგორ გაათია ღამე ოზურგეთში და როგორ სიყვარულით მიიღეს. ვრცლად ეხება მართებლობის პოლიტიკას გურიაში, მოძრაობის მიზეზებს, მემამულეთა საქციელს და გაკვირვებულია ხალხური სამსჯავროთი, რომელიც გურიაში 1905 წ. მოქმედებდა.

თითონ დაესწრო სოფელ ექვდიაში ასეთ სამსჯავროს სხოდომას და განცვიფრებაში მოდის გურულების გამჭრიახობით და სამართლიანობით. ავტორი აგრეთვე დაესწრო სახალხო კრებას და სურათებიც მოყავს ამ კრების. მას მოყავს გრაფ ვორონცოვის აზრი სახალხო სამსჯავროებზე: „ერთად ერთი საშუალება გურიის დასამშვიდებლათ—ეს ლიბერალური პოლიტიკა არისო“. ავტორი დასძენს, რომ კარგი იქნებოდა ამ სიტყვებს, რომ ცხოვრებაში ასრულებდენო და მართალიც არის... დასასრულ ავტორი იხსენიებს, რომ მას ძლიერ აინტერესებდა გურიის მომავალი და სთხოვა თავის ნაცნობ განათლებულ ქართველებს მიეწერათ მისთვის და ძლიერ სწუხს, რომ გურიაში ყაზახებმა დაიწყეს თარეშობა. თავის აღწერას გურიაზე ავტორი შემდეგი სიტყვებით ათავებს: „მე არასოდეს არ დავივიწყებ გურულების გულ-მხურვალე გამასპინძლებას და უსურვებ ამ პატარა კვკლუც კუთხეს წარმატებას მომავალში“. ეს სიტყვები მით უფრო სასიამოვნოა, რომ იგი გურულებს ქართველებს ეძახის და რუსის „ჩინოვნიკებივით“ ცალკე ეროვნებას კი არა.

მეექვსე თავში თბილისის აწერილობას შეეხება. აწერილია რკინის გზით მოგზაურობა სურამის გადასავალზე და ძლიერ მოსწონს კიდეც. ბოსნიას ადარებს ავსტრიაში. მერმე მოკლედ იწყება თბილისის ისტორია, მოხსენებულია, რომ ქ. თბილისი დაარსა ვახტანგ გორგასლანმა მეექვსე საუკუნეში. მერმე მოჰყვება დაწვრილებითი აღწერა თბილისის ყველა ნაწილების, განსაკუთრებით კი ბოტანიკური ბაღის და მამა დავითის მთის, თბილისის ჭუჭყი რასაკვირველია ვერაფრად მოსწონს. ყურადღებას აქცევს ეგრეთვე თბილისის სხვა-და-სხვა ერების ჩაცმულობას, მათ ჩვეულებას, სახლის მოწყობილებას და მუსიკალურ იარაღებს. ეგრეთვე აღნიშნავს, რომ თბილისი თითქმის სომხებმა ჩაიგდეს ხელშიო, სადაც ლამაზი სახლი ვნახე ვიკითხე ვისია მეთქი და ყოველთვის მეუბნებოდენ სომხის არისო. ორიოდე სიტყვით იხსენიებს ქალაქის თვით-მმართველობას, სასწავლებლებს და ჟურნალ-გაზეთობას. შემდეგ ახასიათებს სომხებს და ქართველებს. სომხებს ემადლიერება კარგად მიმიღესო, ეგრეთვე მოსწონს, მომჭირნე ხალხი და შრომის მოყვარეაო.

თბილისის ქართველები ხასიათით არ განირჩევიან თავის ქუთაისის მოძმეებიდან, მხოლოდ ცოტა გარუსების გზაზე დგანან, რადგან ბევრ განათლებულ ოჯახში სრულიად ვერ გაიგონებთ ქართულსო. ლაპარაკობს ეგრეთვე წარჩინებულ წოდების ოჯახებზე. თათრები როგორც ჯერ განუვითარებელი ხალხი ისე ყავს დასურათებული. ეგრეთვე იხსენიებს თბილისის რუსობას და ამბობს, რომ იგი უმეტეს ნაწილად სალდათებიდან და ჩინოვნიკებიდან შესდგებაო და ძლიერ ცუდათაც უჭირავთ თავიო. საერთოდ თბილისმა მასზე ნახევრად ევროპიული შთაბეჭდილება მოახდინა, მიუხედავად მრავლ ბაღდინჯოებისა, რომელთაც ძალიან შეუწუხებიათ სასტუმროში.

მე-VII თავში შეეხება კავკასიის მართველობას. დაწვრილებით აქვს აწერილი მიტინგი 29 აგვისტოს 1905 წ. ქალაქის საბჭოში და ის ჟლეტა, რომელიც მას მოჰყვა. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს პოლიციურ ზომებს, ქუჩაში გაჩხრეკას, მეეზოვეებს, რტყმევას და ჯიბებიდან ფულის ამოცლას, ყაზახების თავგასულობას. დაწვრილებით ახასიათებს თბილისის საცენზურო კომიტეტს და მის მოქმედებას.

როგორც უცხოელ მოგზაურს მას ნება ჰქონდა ენახა გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი და ინახულა კიდევაც. მოყვანილი აქვს მისი მოკლე ბიოგრაფია და შემდეგ მოჰყავს მისი აზრი კავკასიაზე: „თათართა და სომეხთა შეტაკება ეს გოლიცინის მოღვაწეობის ნაყოფიაო და ეს სურდა კიდეც მასო“. ეგრეთვე გაკიცხვით მოიხსენია გოლიცინისგან სომეხთა საეკლესიო ქონების ჩამორთმევა. „სომხები კარგი ვაჭრები არიან, მაგრამ მართებლობას არ ემორჩილებიანო“. თათრები კარგი გულის ხალხია, რომ ავაზაკური სისხლი არ ქონდეთო, მათ განათლება სჭირიათ, უიმისოდ კი არ შეიძლება მათი გასწორებაო. ქართველები მოუსვენარი ხალხია და გურულებიც მათთან ერთად ბავშვობიდან რევოლიუციო-

ნერები არიანო“.

ბოლოს ნამესტნიკს შემდეგი საყურადღებო სიტყვები გამოუთქვამს: „თუმცა მე კავკასიაში რამოდენიმე სინდისიერი მოხელე მყავს, მაგრამ უმრავლესობა უსინდისოა და მათი საშუალებით კავკასიის მართვა არ შეიძლებაო“.

ავტორი აგრეთვე იხსენიებს სულთან კრიმგირეის და ძლიერ დაწვრილებით ახასიათებს შირინკინს და მის თანაშემწეს, რომელმაც თითქმის მთელი თავისი საიდუმლო ქალალდები მაჩვენაო. იგი სიცილით ამბობს, რომ ინგლისელი მოხელე ამას არ იზამდა, რადგან იქ სამსახურის მოვალეობა სხვანაირად ესმისთ. საინტერესოა შირინკინის თანაშემწის აზრი კავკასიის გუბერნატორებზე, რომელთა უნიჭო მართველობას ის აბრალებს კავკასიაში მოძრაობის გამწვავებას.

ავტორმა აგრეთვე ინახულა თბილისში საზღვარგარეთელი კონსულები და პრესის წარმომადგენლები.

ამით თავდება წიგნის ის ნაწილი, რომელიც საქართველოს შეეხება და ეს იყო ჩვენთვის და ჩვენი მკითხველისთვის უმთავრესად საინტერესო. შემდეგ ნაწილში ავტორი შეეხება სომხების და თათრების შეტაკებას და მის მიზეზებს, ამავე მიზნით იყო ბაქოში და ბაქოს შეტაკება დაწვრილებით აქვს აწერილი, ეგრეთვე ყარსის და ერევნის რკინის გზით იმოგზაურა სომხებსა და თათრებს შორის და ინახულა ეჩმიადძინი.

ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ გაემგზავრა უკან ინგლისში კავკასიონის ქედით. იხსენიებს მცხეთას, მცხეთის სობოროს და მის წარსულს. ეგრეთვე აღტაცებულია კავკასიონის გზით და ბუნების სიდიადით. როდესაც უკვე ინგლისში იყო კავკასიის ამბებს ალიხანოვის მიერ აოხრებას გაზეთებით ტყობილობდა და თავის წიგნში აქვს ჩართული.

წიგნი შემკულია სურათებით, რომლებიც, სამწუხაროდ, კარგად არ არიან გამოსული. მაგალითად, ქუთაისის ბულვარზე გადაღებულია ერთი ახალგაზრდა ყმაწვილი ბლუზაში და ორიც შემთხვევითი გამვლელი ჩოხით და ქვეშ აწერია „ქართველთა ტიპები“-ო. მიუხედავად ამისა და იმ აზრების, რომლებიც ხან-და-ხან არც მაინც და მაინც სასიამოვნოა ჩვენი ნაციონალური თავმოყვარეობისათვის, ხსენებულ წიგნს ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი აცნობებს საქართველო ინგლისელებს. ვეცდებით, რომ ჩვენ თითონვე გ ვაცნოთ ჩვენი თავი ინგლისელებს მათ ენაზე. ამ თანავე ჩვენ აზრს ვატყობინებთ ამ წიგნის შესახ მის ავტორს.



დ. ღ.

სამრევლოების გაფართოება და შტატების შემ ცირება და შემოკლება გააუმჯობესებს თ არა სოფლის სამღვდელოების მდგომარეობა

წარსული წლების „მწყემსის“ 7 №-რში მ თავსებულია წერილი შემდეგი სათაურით: „ცო რამ ჩვენი სამღვდელოებისა და მისი ნივთიე მდგომარეობის შესახებ“, რომელშიდაც ამ წერ ლის ავტორი სამღვდელოების ნივთიერი მდგომ რეობის გასაუმჯობესებლად საუკეთესო საშუალებ და უებარ წამლად მიაჩნია შტატების შემცირ და სამრევლოების გაფართოება; ერთის მხრ რომ შევხედოთ, თუ ძალიან არ ჩაუკვირდით სა მეს, გეგონებათ, რომ ვითომ შტატებინ შემცირ და სამრევლოების გაფართოება ძალიან უშველ საქმეს, მაგრამ მეორეს მხრით კი თუ კი ღრმ და პრაქტიკულად ჩაუკვირდება კაცი ამ საქმეს, საშუალება მეტად გამოუდეგარი და პირიქით დ დი მაზარალებელიც იქნება საქმის გაუმჯობეს ბისთვის და სამრევლოების მმართვა-გამგეობისთვ ამ თუთხმეტიოდე წლის წინედ რუსეთ ეპარქიებში მიმართეს ამ საშუალებას, ესე ი ორორ-სამსამი სამრევლოები ერთად შეაერთ მაგრამ საქმეები აიბუწ-დაიბუწა, ზარალის მ ვერა ნახეს რა; განსაკუთრებით ზნეობისა და სა მუნოების მხრით მეტად საშიშო და სამწუხა მდგომარეობაში ჩაცვინდენ გაფართოებულ-გა დებული სამრევლოების მმართვა-გამგეობა. მაგ როდესაც რუსეთის სამრევლოები დარწმუნდა, რ სამრევლოების გაფართოებას დიდი ზარალები ცუდი შედეგი მოყვა დახურული და შეერთებ ლი შტატები ისევე ხელახლა დაანაწილეს. ეს მ და რუსეთში რაოდენიმე წლის წინეთ მაშინ, რ დესაც სამღვდელოებაზედ და ქრისტეს წმიდა ე ლესიაზედ სულ სხვა გვარი შეხედულება ჰქონ

მართლ-მადიდებელ ხალხს და დღევანდელს პიროებში რომ ორი-სამი შტატი ერთად შესდგეს და მათ ერთი მღვდელი დაენიშნოსთ, ხალხი ჩამოშორდება ჭეშმარიტ გზას და ვინ იცის, რომ მწვალებლობაც კი გაჩნდეს. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ხალხს რაკი თავისს მოძღვრის არჩევის უფლება მიენიჭა, თითოეულ მოგვარეს სამრევლოში თავის საკუთარი კანდიდატი ჰყავს მღვდლობის თანამდებობაზე და ყოველ ადგილის დაცვაზედ დიდი ალიაქოთი, პარტიობა და განხეთქილება ჩამოვარდება ხოლმე და რომელი პარტიაც გვაროვნობით თავის კანდიდატს ვერ გაიყვანს, ის გვაროვნული პარტია ერთხელ და სამუდამოთ უკმაყოფილოდ რჩება მღვდლებზედ და მის მომხრე პარტიაზედაც; ეს ხდება დღეს ჩვენს პატარა სამრევლოებში და ორი-სამი სამრევლო, რომ ერთ შტატად შეერთდეს, იქ კიდევ ერთი ათად ზედმეტად ცუდად და უსიამოვნოდ ჩაივლის არჩევნები... ნაგალითად, ორი შტატის სამრევლო ერთ შტატად შეერთდა; ამ გაფართოებულ შტატში თუ ოთხი და სამი არა, ორი ეკლესია მაინც ექმნება ერთს მღვდელს; ერთი მათგანი შტატად დარჩება და მეორეს კი ჩამოერთმევა შტატის სახელი; აქაც უსიამოვნება და შეტაკების შემდეგ ერთს რომელიმე ეკლესიათაგანს შეანარჩუნეს შტატის სახელი და მეორეს კი ჩამოართვეს, აქ ისთევე მუდმივი უკმაყოფილება ჩნდება. რას იზამს ამ დროს მღვდელი? მღვდელი ხედავს ხალხის უსიამოვნებას, სწუხს, იტანჯება და თანაც იმაცადინებს, რომ თავისს სამრევლოს ეკლესიებში უმეტ-ნაკლოდ სწიროს, ხალხსაც უმეტ-ნაკლოდ ემსახუროს, მაგრამ „ორთა უფალთა“ სამსახურს მოძღვარი ვერც დიდხანს შესძლებს და ვერც პირნათლად, ერთი და ერთი ეკლესიის შემომავალნი მაინც კიდევ უკმაყოფილონი და მუდამ მომდურავი იქნებიან თავისს მღვდელზედ, რადგანაც ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ერთსა და იმავე დროს სჭირდებათ მღვდელი როგორც ერთი ეკლესიის შემომავალს, ისეთ მეორისასაც; ამ ორ შეერთებულ სამრევლოს კიდეც რომ ეახლოვებოდესთ ერთი მეორე ეკლესია ერთმანეთის ჯინაზედ ერთი მეორის ეკლესიაზედ არც კი მივლენ სალოცავად; ამას გარდა ისიც ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ორი მეზობელი ეკლესიის შემომავალთ ერთი და იგივე დღესასწაული და დღეობა აქვსთ დადებული და ამიტომ ერთსაც და მეორესაც ერთს დროს უნდა თავისს ეკლესიაში წირვა-ლოცვა, ნათვლა, ქორწინება და სხვა მღვდელ-მოქმედება; რანაირადაც უნდა მოიქცეს მღვდელი საყვედურს, გულძვირობას და უსიამოვნებას მაინც ვერ აიშორებს ასეთ შემთხვევაში და მასთან შრომაც ერთი ორად მოემატება და ნაყოფი კი ასეთ მისს უმადურს შრომას ძალიან ცოტა ექცება. იმ დრო უკმაყოფილო ხალხს გული აუცურდება, აზრი შეეცვლება და თავის თავს ჰკითხავს: „დღემდის თუ საკუთარი მღვდელი გვყავდა და საკუთარი წირვა-ლოცვა და მღვდელ მოქმედებაც გვქონდა ჩვენ-ჩვენ დროზედ, დღეს რაღა უბედურება დაგვემართა, რომ მღვდელი საზიარო და საძებარი შეგვექნაო და სხვა“... დღეს კი აქა-იქა კიდევ რაოდენიმეთი მაინც იფარებენ სამღვდელოებას და მაშინ სიძულვილი, უკმაყოფილება და უსიამოვნება ერთი ათად იმატებს ხალხსა და სამღვდელოებას შორის და წირვა-ლოცვის სურვილსაც დაჰკარგავს. დღეს კიდევ ღვთის მოყვარე ერი და ნელ-თბილი სარწმუნოებაც სრულიად გაცივდება და თანაც ხალხისგან შეძულებული სამღვდელოება ნივთიერადაც და ზნეობრივადაც დაქვეითება და მეტად დაეცემა და დაბეჩავდება.—

ამიტომ ჩემის ფიქრით ძალიან საჭიროა, რომ უფრო ახლოს ამოუდგეს მღვდელი თავისს სამრევლოს, რომ უფრო ერთგულად, თავთავის დროზედ და საჭიროებაზედ უნაკლულოდ და პირნათლად ემსახუროს თავისს სულიერ შვილებს; ძალიან საჭიროა, რომ მღვდელი დაუახლოვდეს თავის მოწაფეებს. გაიცნოს და გაიგოს პსიხოლოგიურად თითოეული თავისს მოწაფის სულიერი და ხორციელი მდგომარეობა, იყოს მათთან განუშორებლად ჭირში და ლხინში, და ასეთ შემთხვევაში უეჭველია, რომ სულიერი მამა მეტ გავლენას იქონიებს თავისს მრევლზედ თავისს ქადაგებით, სწავლა-მოძღვრებით, დაახლოვებით და ერთგული სამსახურით და ამითი უეჭველია მოძღვარი სარწმუნოებასაც უფრო ააყვავებს, თავისს ავტორიტეტს და პიროვნებასაც ალადგენს და ნივთიერადაც დაჯილდოვდება. ამისათვის საჭიროდ მიმაჩნია არა თუ შეერთება რაოდენიმე შტატისა და სამრევლოების გაფართოება, არამედ პირიქით ძალიან საჭიროდაც მიმაჩნია, რომ დღევანდელი დიდი 200—300 კომლიანი სამრევ-

ლოები ადგილის მდებარეობის მიხედვით კიდეც დანაწილდეს პატარა 100—150 კომლიან სამრევ-ლოებათ. შტატების რიცხვმა კი არ უნდა იკლოს, არამედ უნდა იმატოს შეძლებისა და შეხედულებისა გვარად და მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება, რომ სარწმუნოება აყვავდეს, ხალხმა სამღვდელოებაც შეიყვაროს და საქმეც გაუმჯობესდეს, თორემ მღვდელმა რომ სამრევლო გაიფართოვოს, შეჯდეს ცხენზედ და თავისს ვეებერთელა სამრევლოში ხანდისხან ცხვრების დასაკურთხებლად გავიდეს, ხალხს არ დაუახლოვდეს, სწავლა-მოძღვრება არ გაავრცელოს და თავისი სამსახური შეზღუდოს მარტო უმნიშვნელო მღვდელ-მოქმედების შესრულებით, როგორც ზევითა ვსთქვით, საქმე წინ კი არ წავა, საბოლოოდ დაიღუპება და ხალხის თვალში ჩვენ ალარაფერი არ ვიქნებით. მე ვფიქრობ, და ყველა დამეთანხმება, რომ სადაც მღვდელი ძალიან დაახლოვებულია თავისს მრევლთან, თავთავისს დროზედ მუდმივად ასრულებს წირვა-ლოცვას და ამბობს ქადაგებას ზნეობაზე და სარწმუნოებაზედ და ყველას თავთავისს დროზედ უსრულებს საჭირო მღვდელ-მოქმედებას, იქ სარწმუნოებაც მტკიცედ არის დაცული, მღვდელსა და სამრევლოს შორის უფრო კეთილი განწყობილება და სიყვარულია და მოძღვარიც, რა თქმა უნდა, უფრო უზრუნველყოფილია. ავიღოთ უბრალო მაგალითი. მასწავლებელი უნაყოფოდ შრომობს, სწავლობს, იტანჯება ნერვებს ტყუილა უბრალოდ იშლის, პროგრამმას ვერ ასრულებს, ცუდათ აქვს სწავლების საქმე დაყენებული და მთავრობაც და მოწაფეების მშობლებიც ემდურის მას იქ და იმ სკოლაში, სადაც ზედმეტად ბევრი მოწაფეები ერთად სწავლობენ.—და სადაც კი სკოლაში საკმაო და ნორმალური რიცხვია, იქ მასწავლებელიც ბედნიერია და მოსწავლეებიც; სწავლა კარგ ნიადაგზედ არის დაყენებული და მასწავლებლის შრომაც მეტი დაფასებული და ნაყოფიერია. ეგევე ითქმის ერთს მღვდელზედ და დიდს ვეებერთელა სამრევლოზედ, სადაც მღვდელი სამრევლოს სიდიდისა გამო უნაყოფოდ შრომობს. ამნაირად წერილის ავტორს მამას „ერთი სოფლის მღვდელთაგანს“ ვერ ვეთანხმები იმაზედ, რომ ვითომ შტატების შეერთებამ და სამრავლოების გაფართოებამ რაიმე ნაყოფი მოუტანოს სამღვდელოებასა და ხალხს.

სტატიის ავტორი ბრძანებს: „მიკვირს რას აკეთებენ ის მღვდლები, რომლებიც 100—200 კომლიან სამრევლოებში მსახურებენ, რადგანაც ასეთ მღვდლებს მრევლში შეიძლება კვირაობითაც არ შეხვდესთ საქმე. კიდევ კარგი თუ ასეთ პატარა სამრევლოს მღვდლებს წიგნის კითხვა ეხალისებათ, ან ეზო-გარემო აქვსთ და ფიზიკურად შრომობენ, თორემ თქვენი მტერი ისინი ძილმა დაასნეულოს და უდროოდ საიქიოს გაამგზავროსო.“ იქვე მამა რედაქტორს სამართლიანი შენიშვნა მიუცია ავტორისათვის, რომელსაც საკმაოდ მიუმჩნევია მარტო წირვა-ლოცვის შესრულება და შემწვარი ცხვრების კურთხევა გარდაცვალებულთა მოსახსენებელად... არა მგონია ისეთი მღვდელი სადმე მოიპოვებოდეს, რაც უნდა მცირე მრევლში იყოს, რომ უსაქმოდ ატარებდეს დროს და ძილმა დაასნეულოს მით უმეტეს ჩვენ დროში. დავანებოთ თავი და თუნდა ნურას ვიტყვით იმაზედ, რომ ყოველ სამღვდელო პირს, როგორც თითოეულს მის მოწაფეს და როგორც ხორცში მყოფ ადამიანს ათას გვარი ზრუნვა და შრომა სჭირდება დავისს ოჯახში თავის წვრილი ცოლშვილის შესანახავად და აღსაზრდელათ; თანაც ხშირად არის, რომ თითოეული სოფლის მღვდელი ოტა აქვს ადგილ-მამული თუ ბევრი, მეურნეობის „როლს“ ასრულებს თავის ოჯახში; ყოველი კაცი შრომობს და იღწვის არსებების პურისათვის და რაღა მაინც და მაინც მღვდელი მიეცემა ძილს და უზრუნველ უშრომლად იცხოვრებს მაშინ, როდესაც შემოსავლის წყაროები ამ უკანასკნელად თითქმის დაუშრა სამღვდელოებას; და თუ მღვდელს პატარა მრევლი უჭერია და მეტს თავისუფალ დროსაც ჰპოვებს, ეს იმას კი არ ნიშავს, რომ მცირე სამრევლოიანი მღვდლები არასფერს არ აკეთებდენ და თავისი ჯანსაღობა ტყუილა ყოფნით და ძილით მოიშალონ; მიკვირს ძალიან წერილი აგტორი რომ თითონაც მღვდელი ბრძანდება და რატომ ავიწყდება, რომ მას და მისს თანამოძმე სამღვდელოებას მრავალი საშრომი აქვს ქრისტეს ყანაში. რისთვის ავიწყდება მამა ავტორს, გარდა პირდაპირი მოვალეობისა ერთსა და იმავე დროს სამღვდელოებას შემოხვეული აქვს კისერზედ ათასი სხვა და სხვა მეორე ხარისხოვანი თანამდებობა და პასუხის გება. რაც შეეხება მრევლსა და მღვდელს შორის პირდაპირი ნივთიერი დამოკიდებულების მოსპობას და

სამაგიეროდ სამღვდელოებისათვის გადაწყვეტილი ჯამაგირების დანიშვნას, ამაზე თითოეული ჩვენგანი დაეთანხმება მამა ავტორს იმიტომ, რომ მღვდელი და სულიერი მამა არ უნდა იყოს თავის მოწაფის ანუ სულიერი შრილის შემჩერე; ჯერ საზოგადოდ ყოველითხოვნა ამცირებს ადამიანის პიროვნებას და თავმოყვარეობას და მერე ნივთიერი თხოვნა, კუჭზედ მუდამ ტირილი და წუწუნი რომ ყველასათვის დამამცირებელი და შემბღალავია და მით უმეტეს სამღვდელო პირისთვის და წმინდა ეკკლესიის მოსამსახურისთვის მაინც ყოვლად აუტანელი, უადგილო და შეუფერებელია.

მდგ. ბ. ვაშაძე.

სამღვდელოების დეპუტატთა კრება

18 დეკემბერი.

ამ დღეს კრებამ მოისმინა ექსარხოსის რეზოლიუცია კრების დადგენილებაზე სემინარიის შენობის შესახებს. ექსარხოსი უცხადებს: „ნება გაქვთ დაიტოვოთ სემინარიის ძველი შენობა, მაგრამ რაც შეეხება ახალს, რომლის შესახებაც დაადგინეთ—სემინარიას სადგომადაო, შუამდგომლობას ვერ აღვძრავ სინოდის წინაშე, რადგან ახალი შენობა რუს სამღვდელოების საერთო თანხიდან არის აშენებული, ხოლო თანხაში ერთი გროშიც არ ღრეევია საქართველოს სამღვდელოებისაო (ერთმა მღვდელმა შენიშნა: 5 მილიონი ყოველ წლიური შემოსავალი ჩამორთმეულ საეკკლესიო მამულებისა განა არაფერიაო). ქართულ ენის სასულიერო სასწავლებლებში სწავლის წინააღმდეგი არა ვარ, მაგრამ სამღვდელოებამ კარგად უნდა დაიხსომოს, რომ ასეთი სისტემა მისთვის სასარგებლო არ იქნება. ამ სისტემაზე აღზრდილი თქვენი შვილები რუსულს ვერ ისწავლიან და შემდეგ თუ ისინი სახელმწიფო სამსახურში არ მივიღეთ, ნუღარ დაგვემდურებით. ამასთან თქვენის აზრის განსახორციელებლად საჭიროა 4 ოთახი და სხვა ხარჯი. თუ ყოველივეს ამას უზრუნველ ჰყოფთ, მაშინ აღვძრავ შუამდგომლობას—ნება მოგეცეთ ქართულს ენაზე საღვთისმეტყველო საგნების სწავლებისაო“.

ამასთან თავმჯდომარემ აცნობა დეკ, თალაქვაძეს ექსარხოსის პასუხი იმაზე, უმაღლესად დამტკიცებულ წესდებით აქვს თუ არა უფლება კრებას მოიწვიოს გარეშენი. ექსარხოსი ამბობს, მართალია უმაღლესად დამტკიცებულ წესდებაში არის ეს ნებართვა მაგრამ ეს წესდება მესამოცე წლებს შეეხებაო. ამის საპასუხოდ დეკ. თალაქვაძემ განაცხადა კრებაზე: სულ ერთი წელიწადია, რაც თანახმად მესამოცე წლებში გამოცემულ და უმაღლესად დამტკიცებულ წესდებისა საბლაღოჩინო საბჭოები მოეწყო. ნუ თუ უმაღლესად დამტკაცებული კანონი სასულიერო მთავრობას გამოადგა ამისთვის და ჩვენი კრებისთვის-კი არაო.

წინა კრებაზე არჩეულმა კომისიამ, რომელსაც უნდა დაეთვალიერებია საეპარქიო სასწავლებელი, ამ დღეს წარადგინა მოხსენება. კომისიის მოხსენებით სასწავლებელში 95 მოსწავლეა. თავისუფალი საკლასო ოთახი არ არის შენობაში, თუ რვა საწოლ ოთახს ერთს მოვაკლებთ, შეიძლება მე-7 კლასი იქ გავხსნათო. როდესაც ლაპარაკი ჩამოვარდა სახსარზე კრებამ მოითხოვა სასწავლებლის 1908 წ. ხარჯთ აღრიცხვა. სასწავლებლის შესანახად საჭიროა 37,000 მან. სასწავლებელს, სადაც 95 მოსწავლეა ჰყოლია მთელი რაზმი მოსამსახურეებისა: 22 მოსამსახურე, 8 „კლასის დამა„ და ოთხი თანაშემწე. თითო მოსწავლის საჭმელზე იხარჯება დღეში აბაზი, ხოლო მოსამსახურეების საჭმელზე—25 კაპ. ყოველს პროფესიის მოსამსახურეს თითო თანაშემწე და ბევრს თანაშემწის თანაშემწეცა ჰყოლია. უმრავლესობამ ის აზრი გამოსთქვა, რომ შტატი შემცირდეს და გადარჩენილ ფულით მე-7 კლასი გაიხსნას.

კრემამ დაადგინა, პანსიონი არ გააუქმოს. შემცირდეს მოსამსახურეთა შტატი. ამით ყოველ წლივ დარჩება 2800 მან., რაც საკმაოა მე-7 კლასისათვის; მე-7 კლასი გაიხსნას 1908 წლის სექტემბრიდან.

ახალი სკოლა

სახელ-განთქმულ ფილოსოფოსს სოკრატს ეწვია ერთხელ ვიღაც უცნობი კაცი და უთხრა: მირჩიე როგორ აღვზარდო ჩემი ვაჟიშვილი.

—რამდენი წლისაა შენი ბავშვი?—კითხა სოკრატმა.

—ორი წლისაა.—უპასუხა სტუმარმა

—მაშ, ჩემო ძმაო, უკვე დაგიგვიანებიაო,—უთხრა სოკრატმა.

ფილოსოფოსის ამ სიტყვებში ღრმა და საგულისხმო ჭეშმარიტებაა გამოთქმული.

ახლად დაბადებული ბავშვი, რასაკვირველია, უკვე სულდგმული ადამიანია და დინჯად, სერიოზულად მოფიქრებულ აღზრდას თხოულობს. ძუძუს ბავშვების აღზრდის შესახებ სხვა და სხვა ენაზე მრავალი წიგნია დაწერილი, ვრცელი მწერლობა არსებობს ყველგან საზოგადოდ ბავშვების აღზრდა განათლების შესახებ, მაგრამ ეს საქმე ჯერ-ჯერობით მაინც კუს ნაბიჯით მიდის წინ. ამისი უმთავრესი მიზეზი ყველგან ყველა ქვეყანაში ის არის, რომ ბავშვების აღზრდა-განათლებას უმთავრესად სახელმწიფო განაგებს, მთავრობის კანტროლის ზედამხედველობის ქვეშაა, სახელმწიფო გამგეებს კი, რასაკვირველია, ეშინიანთ ამ საქმეში ცვლილ.ბის, რეფორმის შეტანისა, რადგან ადამიანის აღზრდა-განათლების დარგში ცვლილება—ადამიანის მთელი სულიერ ცხოვრების შეცვლას, იმის გრძნობა-გონების ხელახლად გარდაქმნას ნიშნავს. მთავრობა კი ყელგან არსებულ წესწყობილების ნაშობია და მეტად უფრთხის, რასაკვირველია, იმ ახალ წყობილებას რომელსაც, უეჭველად შეჰქმნის ახლად გარდაქმნილ სკოლიდან გამოსული, ახალ, თავისუფალ წყობილების მონატრული ადამიანი.

ყველა ეს ასეა, მაგრამ ამავე დროს ადამიანის ბუნებას სრულ თავისუფლებისაკენ ისეთი ძლიერი მისწრაფება უდევს საფუძვლად, რომლის დახშობა-აღმოფხვრა არ ძალ უძს არც ერთს სახელმწიფო სისტემას.

უძრავ, მკვდარ წესებისაგან განთავისუფლება, სრულიად ახალ მიმართულების თანახმად ახალ სკოლის შექმნა—აი უდიდესი წადილი განათლებულ ქვეყნების ყველა მოწინავე მოაზრისა და მოღვაწისა.

ამ გვარი ახალი სკოლები დაარსდა პირველად ინგლისში ბიდელსსა და აბოტსჰოლმსში. ინგლისელებს წაჰბაძეს ფრანგებმა, დააარსეს ამ გვარივე სკოლა პარიზის ახლოს, წაჰბაძეს აგრეთვე გერმანელებმა, გახსნეს ასეთი სკოლა ბერლინის ახლოს, და რუსებმაც, რომელთაც დააარსეს თავისუფალი ოჯახური სკოლა მოსკოვში.

ახალ სკოლას საფუძვლად უდევს არა ის დღევანდელი წესი, როცა მოწაფე და მასწავლებელი მხოლოდ დილას დანიშნულ დროზე შეიყრებიან და დანიშნულ დროსვე სადილობამდის გაიყრებიან, არამედ იქ მოწაფეები და მასწავლებლები სკოლის შენობაში ერთად ცხოვრობენ, საერთო ოჯახი აქვთ და ამიტომ მათ შორის მტკიცე კავშირი და საურთიერთო კეთილი მოვლენა სუფევს.

დღევანდელ სკოლის წადილია— საერო განათლების სამინისტროში შემზადებულ პროგრამის დაგვარად თვითოეულ კლასის მოწაფეებს საერთოდ ერთნაირის ზომისა და ღირსების ცოდნით გამოუტენოს თავი. ახალი სკოლა კი თვითოეულ ბავშვს განსაკუთრებულის ყურადღებით ეკიდება, იკვლევს, თუ ცოდნის რომელი დარგი ეადვილება მას, როგორია იმის- ბუნებრივი ნიჭი და მიდრეკილება, სცდილობს დააკმაყოფილოს, პასუხი გასცეს ბავშვის ამ ბუნებით თანდაყოლილ ნიჭს, ბუნებრივ მისწრაფებას და ამნაირად თვით ბავშვს სწავლის თავისუფალი სურვილი გაუღვიძოს.

დღევანდელი სკოლა სრულებით უარ ჰყოფს მოწაფეების ტანის, სხეულის გაწვრთნა—განვითარებას, უარჰყოფს. მოწაფის ხასიათის განმტკიცებას სხეულის საღი ვარჯიშობის, ფიზიკურ მუშაობის საშუალებით. მთავრობას, რასაკვირველია, სურს აღზარდოს არა მტკიცე ხასიათის მექონე და დამოუკიდებელი ადამიანი, არამედ სუსტი, უსუსურ ხასიათის მექონე, ყველაფერში იმისგან დამოკიდებული და ყველაფრის მოშიშარი მოხელე ჩინოვნიკი.

მთავრობის დღევანდელი სკოლა სცდილობს მძიმე, შავ მუშაობას მოარიდოს ბავში, გაასათუთოს, გააარისტოკრატოს იგი რათა ამნაირად ხალხს მოაშოროს სკოლაში აღზრდილი ადამიანი. სახელმწიფოს გამგეებმა კარგად იციან, რომ ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია და წმინდად ყოფნას შეჩვეული ადამიანი ძნელად თუ დაუახლოვდება შემდეგ იმ დაბალ ხალხს, რომელსაც მთელი უწმინდური მუშაობა ხვდა წილად. მთავრობამ კარგად იცის, რომ იმის სკოლაში წმინდად აღზრდილი და ამნაირად ხალხს მოწყვეტილი ადამიანი უბრალო ღარიბულ ცხოვრებას ვერ შეურიგდება, დიდ ჯამაგირიან ადგილს მოითხოვს, მაშასადამე, სახელმწიფო სამსახურში შევა და ძველ წეს წყობი-

ლების ᲑᲣᲠᲯᲐᲓ გადაიქცევა.

ᲐᲮᲐᲚᲘ სკოლა, სხვა და სხვა მეცნიერების სწავლების გარდა, უკვე ბავშვობიდან აჩვევს ადამიანი მძიმე, შავ სამუშაოს, რომელშიაც მასწავლებლები ბავშვებთან ერთად არიან ჩაბმულნი. მაგალითად, ინგლისის ᲐᲮᲐᲚ სკოლაში, ᲑᲘᲓᲔᲚᲡᲨᲘ, მასწავლებლები ᲓᲐ მოწაფეები ერთად ასრულებენ საᲯᲐᲮᲝ მუშაობას და მოწაფეები თვით სკოლის გამგეს მეთაურობით ფეხის ალაგებსაც კი სწმენდავენ. უფროსების მაგალითი ამ საქმეში ბავშვების წინ წამწევი, წამახალისებელი ცოცხალი ჩარხია. ამგვარად, ეჩვევიან უბრალო ცხოვრებას, ითვისებენ კაცთა შორის თანასწორობის გრძნობას და ამავე დროს გაურბიან სათუთად, აზიზად ყოფნას შემდეგ ცხოვრებაში გამოსულთ იმათ ვერ შეაშინებთ სიღარიბე, მძიმე სამუშაო, ᲮᲐᲚᲮᲨᲘ გარევა, დაჩაგრულ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ გვერდით ცხოვრება, იმისი ერთგული მეგობრობა.

ზნეობრივი აღზრდა, ადამიანის ამ უმაღლეს ნიჭის განვითარება საფუძვლად უდევს ᲐᲮᲐᲚ სკოლას, რომელსაც მიზნად აქვს შექმნას მტკიცე ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘᲡ და წმიდა წადილის მექონე ადამიანი, რადგანაც მტკიცედ სწამს, რომ საზოგადოების ნამდვილი წარმატება და კეთილი, გონიერი განვითარება ამ წმინდა წყაროდან, თვითეულ ადამიანის ფაქიზ სვინიდისისა და მაღალ ზნეობიდან გამომდინარეობს.

ამით ვათავებ ᲯᲔᲠᲯᲔᲠᲝᲑᲘᲗ ჩემ საᲐᲮᲐᲚᲬᲚᲝ საუბარს მკითხველთან ᲐᲮᲐᲚᲘ სკოლის შესახებ, რომელსაც სურვილი მაქვს შემდეგში ისევ დავუბრუნდე და გავაცნო მკითხველებს აღზრდა-განვითარების ამ სასიხარულო რეფორმის განვითარება,

(„ისარი“)

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲙᲕᲚᲔᲕᲐ ᲭᲚᲔᲥᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

თუ რა საშინლად მძვინვარებს ჭლექი და როგორ მუსრს ავლებს იგი კაცობრიობას, ეს, სხვათა შორის, იქიდანაცა სჩანს, რომ, მეცნიერულ გამოკვლევათა თანახმად, ყოველ ორმოცდა ათ კაცზე თითქმის ერთი ჭლექით არის ავად. მთელ რუსეთში ჭლექიანთა რიცხვი თითქმის სამ მილიონამდე ადის. ჭლექით გარდაცვალებულთა რიცხვს, რომ მივაქციოთ ᲧᲣᲠᲐᲦᲚᲔᲑᲐ, სწორეთ განცვიფრებაში მოვალთ: მარტო ევროპაში ყოველ წლივ ამ სენით ერთ მილიონამდე კაცი ესალმება ᲬᲣᲗᲘᲡᲝᲤᲔᲚᲡ.

სამწუხარო ის არის უფრო, რომ ჭლექით იწამლება ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲦᲐ და ძალით სავსე სხეული და რამდენისამე წლის ტანჯვის შემდეგ ესალმება ცხოვრებას. ვინ მოსთვლის, რამდენი ნიჭიერი და გამოსადეგი წევრი დაუკარგავს საზოგადოებას ამ სენის წყალობით!

წინად დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ჭლექის გადადებაში უმთავრესი ადგილი ეჭირა ჭლექიან ავადმყოფის მიერ მოშხამულ ᲰᲐᲔᲠᲡ. მაგრამ თან და თან გამოირკვა, რომ ამ სენის გავრცელებაში ზოგიერთ პირუტყვსაც დიდი მნიშვნელობა აქვს.

აღმოჩნდა, რომ ადამიანის და საქონლის ჭლექი ერთი და იგივე ყოფილა. დიდი მორიდებაა საჭირო ჭლექიან საქონლისა, განსაკუთრებით კი ჭლექიან ძროხის რძისა, ნამეტნავად მაშინ, როცა ძროხას ძუძუებზე მარგალიტის მსგავს ძიძიბოებს დააყრის. ამ გვარი რძე, რასიკვირველია, უფრო მომწამლავია ნორჩ ძუძუთა ბავშვისათვის, როდესაც იგი იკვებება ხელოვნურად, დედის ძუძუს მოკლებული.

გვაქვს აგრეთვე მრავალი მაგალითი რძისა, რომ შესაძლოა მოიწამლოს ადამიანი ჭლექის შხამით ავადმყოფ პირუტყვისაგან რძის და ხორცის საშუალების გარდა ამ საშუალებითაც; ამ მოკლე ᲮᲐᲜᲨᲘ აღწერილი იყო ასეთი შემთხვევა: ერთმა ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲛᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲦᲐᲛ ჭლექიან ძროხის გატყავების დროს, უცაბედად თითი გაიჭრა, რომელიც ᲪᲝᲢᲐ ᲮᲜᲘᲡ შემდეგ დაუსივდა; დაუსივდა აგრეთვე იღლიის ᲯᲘᲠᲙᲕᲚᲔᲑᲘ; ერთ ამოჭრილს ᲯᲘᲠᲧᲕᲐᲚᲨᲘ ჭლექის ბაცილები აღმოაჩინეს.

მაგრამ ყველაზე საყურადღებო ის არის რომ დღემდის დარწმუნებულნი იყვნენ, ძაღლი და კატა სრულებით უვნებელნი არიან ჭლექის შხამის მხრივ, ასე რომ ზოგიერთ მეცნიერს აზრადაც კი მოუვიდა მოემზადებინა ძაღლის სისხლისაგან ჭლექის ასაცრელი შრატი. მაგრამ ეხლახან გამოვიდა მეცნიერ პეტიტის*) შრომა, საიდანაც ნათლად სჩანს, თუ რა ᲮᲨᲘᲠᲘᲐ ჭლექი ძაღლსა და კატას შორის, ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ როგორც ძაღლი, ისე კატაც ადვილად იწამლება ჭლექიან ადამიანის ნახ-

*) «La Clinique». № 48, 1907 წ.

ველით. მრავალი მაგალითია აღწერილი, რომ ძაღლსა და კატას იმ გვარადვე ეწამლება ფილტვები და სხვა ორგანოები, როგორც თვით ადამიანს; ყოველ მათ ჭლექით მოწამლულ ორგანოში მუდამ კოხის ბაცილები აღმოუჩენიათ.

ცხადია, თუ რა დიდ განსაცდელს წარმოადგენს ჩვენთვის ძაღლი და კატა. მართლაც, ძაღლი და კატა ადამიანის ყველაზე უსაყვარლესი პირუტყვებია, მუდამ ოთახში ჰყავსთ; კატა ხომ ზოგან ადამიანს ლოგინზედაც უწევს. როგორც შესაძლებელია, რომ ძაღლი და კატა ჭლექიან ადამიანისაგან ჭლექით გახდეს ავად, ისევე ადვილია, რომ მათ თვითონაც მოსწამლონ ჭლექის შხამით საღი ადამიანი.

მეცნიერი პეტიტი აგვიწერს ერთ ოჯახს, სადაც სამი წევრი ჭლექით გახდა ავად, ხანგრძლივ დაკვირების და მათის მემკვიდრეობის შესწავლის შემდეგ ეს მეცნიერი დარწმუნდა, რომ სამივეს ჭლექი ავადმყოფ ძაღლისაგან გადასდებოდა ეს ძაღლი დიდი ხანი ჭლექით იყო ავად, შემდეგ როდესაც მოკვდა, მეცნიერმა გასჭრა და ნახა, რომ ორივე ფილტვი ჭლექით ჰქონდა გაფუჭებული. ადამიანი იწამლება ჭლექიან ძაღლისაგან უმთავრესად იმის ნახველით. („ისარი")

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

„ბანათლება", ყოველ თვიური სამეცნიერო, პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი № 1. იანვარი 1908 წლისა.

იშვიათად, ძლიერ იშვიათად ამოგვისუნთქია ქართულ წიგნზე ისე თავისუფლად, ისე გულხსნილად, როგორც უნდა, როცა გადავიკითხეთ ახალ ქართულ ჟურნალის „განათლების" პირველი ნომერი. არც უშინაარსო ფრაზეოლოგია, არც მშრალი იდეალები, არც უგემური ლეწვა მოდის აზრებისა, ერთის სიტყვით არაფერი ის, რაც ასე აუშნოებს და აულაზათოებს უკანასკნელ დროს ქართულ წიგნს და პრესას.

„განათლების" მთელი ნომერი თითქმის ერთი პრაქტიკული მიზნით არის გამსჭვალული. ეს მიზანი— სახალხო განათლებაა. ჟურნალი მრავალმხრივ არკვევს ამ საგანს, არკვევს თეორიულად, არკვევს რუსეთის და უცხო ქვეყნების ქრონიკით, არკვევს ისტორიულად და არკვევს ჩვენი ცხოვრების მაგალითებით. ჟურნალი ფართოდ უყურებს სახალხო განათლებას და უგულავფერს, რასაც კი იგი ეხება, სწორედ ამ მხრივ ითვალისწინებს. სახალხო განათლება ჟურნალის რედაქციას ძალად, რალური ძალად მიაჩნია... იგი ძალა ჩვენს ქვეყანას არა აქვს და აი, იმის შესაქმნელად მუშობენ „განათლების" სულის ჩამდგმელნი. სახალხო განათლება, ჟურნალის აზრით, პარტიული საქმე არ არის, იგი საერო საქმეა, მაგრამ ამ საქმეს პოლიტიკური მხარეც აქვს: ეხლანდელი პოლიტიკური დაწესებულებანი ერთის მხრივ ავიწროებენ, ხოლო მეორეს მხრით კი თავის პოლიტიკური გავლენით ჭრეკენიან სახალხო განათლების საქმეს. ჟურნალის აზრით, სახალხო განათლების მუშაკთ აუცილებლად დასჭირდებათ დირსეული და ენერგიული პასუხი გასცენ ამ პოლიტიკანობას; სახალხო განათლების მუშაკნი იძულებული შეიქნებიან პოლიტიკური ხასიათის ბრძოლაც გასწიონ იმათ წინააღმდეგ, ვინც განათლების დამორჩილებას სცდილობს პოლიტიკისთვის, მაგრამ ეს იქნება არა პოლიტიკის შეტანა სახალხო განათლების საქმეში, არამედ პოლიტიკის მოგერება.

ეს მთავარი აზრი ნათლად გამოსჭვივის ჟურნალის პირველ ნომრიდან. იგი მრავალ მხრივ არის დასაბუთებული და გათვალისწინებული. ჟურნალი რაოდენადმე ნათელს ჭფენს ჩვენების სკოლების ნაკლულევანებასაც დაეძებს... „განათლება"—ეს იმ ტიპის ჟურნალი არაა, იგი სერიოზული ორგანო საქმიან და პრაქტიკულ ინტერესით აღფრთოვანებულ მუშაკებისა. ჩვენ მოგვწონს ეს საქმიანი ხასიათი ჟურნალისა, რადგან ვგრძნობთ, რა დიდი საქმის გაკეთება შეიძლება ასეთი საქმიანი პრესისა საშუალებით, და გულ ხალვათად ულოცავთ ქართველს ხალხს „განათლების" გამოცემას.

მოგწონს „განათლება" და ურჩევთ ჩვენს მკითხველებს ამ ჟურნალის კითხვას, მაგრამ ეს გარემოება სრულიად ხელს არ გვიშლის რამდენიმე სიტყვით აღვნიშნოთ იმისი ნაკლიც. ყოველის უწინარეს აღსანიშნავია ქართულ ენის შეუწყნარებელი სისუსტე. ქართველ ხალხის განათლების მუშაკმა უპირველეს ყოველისა თვითონ უნდა შეისწავლოს და შეითვისოს ქართული ენა. უამისოდ იმისი მუშობა სულ უქმად უნდა ჩაითვალოს. „განათლების" პირველ ნომერში მოთავსებულ წერილების დიდი უმრავლესობა კი ისეთი ქართულით არის დაწერილი, რომ ხშირად წინადადების აზრს ვერც კი გაიგებთ, თუ არ გადაკრუსულეთ, თუ ქართულიდან რუსულად არ გადასთარგმნეთ. ეს დიდი ნაკლია მაგრამ დაუძლეველი კი არაა.. „განათლების" რედაქციამ ამ ნაკლულევანებას

თავი უნდა დაადწიოს, რაც ქართველ ხალხის განათლების შესახებ იწერება, ყველაფერი საგანგებო, ხელში საგოგონანები წმინდა და ქართული სიტყვებით უნდა იწერებოდეს. ჟურნალი „განათლება“ ჩვენებური სოფლის მასწავლებელის გონებრივ საზრდოდ უნდა იქცეს. . ესეც საკმაო, რომ შრომას და ენას დიდი გულისყური ათხოვოს,

„განათლების“ პირველ ნომერში ძალიან ცოტა ცნობებია ჩვენებურ პირველ დაწყებითი სკოლის შინაურ ცხოვრების შესახებ. ალბად, რედაქციას ჯერ მჭიდრო ზნეობრივი კავშირი არა აქვს სოფლის მასწავლებელთან. ეს კავშირი უნდა შეიკრას, აუცილებლად უნდა შეიკრას. უამისოდ პრაქტიკული და სამოქმედო ხასიათი „განათლებისა“, რაც იმის დიდ დირსებას შეადგენს, ნაკლოვან ვერ გამოიღებს. უნდა გაძლიერდეს საკორესპონდენციო ნაწილი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჟურნალის შემდეგი ნომრების ამ მხრივ უფრო შინაარსიანი იქნებიან.

კიდევ ერთი შენიშვნა, „განათლების“ რედაქცია თითქოს პირველ დაწყებითს განათლებას განცალკევებულად განიხილავს საშუალო და უმაღლეს განათლებისაგან. იგი დიდ ყურადღებას აქცევს პირველ დაწყებითს სკოლას, ხოლო ძალიერ ნაკლებს საშუალო სასწავლებელს. ჩვენის ფიქრით, ხალხის განათლების ყველა საფეხურები ერთს განუწყვეტელს ჯაჭვს წარმოადგენენ. განცალკევება პირველ დაწყებითის განათლებისა არც თეორიულად და არც პრაკტიკულად შესაწყნარებელი არ არის.

დასასრულ აღვნიშნავთ, რომ „განათლებას“ ჯერ-ჯერობით უფრო კრიტიკული გათვალისწინების ხასიათი აქვს, ვიდრე შემოქმედებითი. ცოცხალი საქმე კი შემოქმედებით კეთდება და არა კრიტიკით; კრიტიკა მხოლოდ საქმის წინასიტყვაობაა. ჩვენის ფიქრით, „განათლებამ“ კრიტიკასთან ერთად შემოქმედებითი ნიჭიც უნდა გამოიჩინოს თანდათან.

რედაქცია აცხადებს და ბოდიშს იხდის მკითხველების წინაშე, ჟურნალის პირველ ნომრის შინაარსი სპეციალური ხასიათისაა. ვფიქრობთ, რომ ეს შენიშვნა უცაბედად წამოსრულიდი სიტყვაა; იმედი გვაქვს, რომ შემდეგი ნომრებიც სპეციალურ ხასიათს შეინარჩუნებენ და თვრთო ქართველურ თვრთი-თურთს არ ანაცვალებენ საქმიანობის ინტერესს. ვისაც პრაქტიკული მოდვაწეობა სწადია, იმან თავის საქმედ თვრგანდი რაც შეიძლება სასტიკად უნდა შემოიფარგლოს. სახალხო განათლება თავის თავად ისეთი რთული საქმეა, რომ იგი ეროვნული სკმაო საზრდოს მისცემს ჟურნალს. სახალხო განათლების თვალთასაზრით „განათლებამ“ დეე ცხოვრების ყველა მხარე განიხილოს, მაგრამ იმას კი ნურასოდეს ნუ დაივიწყებს, რომ იგი ემსახურება არა პოლიტიკურ და სოციალურ პროგრამეს და მიზნებს, არამედ მხოლოდ სახალხო განათლებას. („ისარი“)

ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲓᲐᲜ

პეტერბურგის ქალაქის საბჭოს დარბაზში სახალხო უნივერსიტეტთა წარმომადგენლებმა მოიყარეს თავი. ორ საათზე სხდომა გახსნა საორგანიზაციო ბიუროს თავმჯდომარემ დრილმა. მან მიულოცა დამსწრეთ პირველი კრების გახსნა და იმედი გამოსთქვა, რომ ასეთი კრებები შემდეგშიაც გაიმართები ხოლმე. მერე დრილმა წაიკითხა მოხსენება საორგანიზაციო ბიუროს მუშაობის შესახებ და, სხვათა შორის, ისიცა სთქვა, რომ გეგმა ამ კრებისა სტოკჰოლმის კრების მიხედვით არის შედგენილია. კრებამ მოსკოვის წარმომადგენელს, შერეინსკის, რომელიც კრებას ავადმყოფობის გამოვერ დაესწრო, შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა: „პირველი მთელი რუსეთის კრება სახალხო უნივერსიტეტთა წარმომადგენლებისა გულითადს მწუხარებას აცხადებს თქვენის ავადმყოფობისა გამო. იმედოვნებს, რომ მალე მორჩებით და თქვენს ნაყოფიერს მოღვაწეობას მალე ისევ დაუბრუნდებით.“ კრების თავ-მჯდომარედ არჩეულ იქმნა მ. კოვალევსკი; თავ-მჯდომარის ამხანაგებად—შესტაკოვი, მოსკოვის წარმომადგენელი, ხარკოვის წარმომადგენელი—დანილევსკი და ვარშავისა—გრაჩევსკი. კოვალევსკის კრება ტაშის ცემით მიეგება. კოვალევსკიმ მოკლე სიტყვა სთქვა და ამ სიტყვაში დაახასიათა მოქმედება სახალხო უნივერსიტეტების ნორვეგიასა და შვეიცარიაში.

ამის შემდეგ დაიწყო მოხსენებათა კითხვები. პირველად მოხსენება ისაევს უნდა წაეკითხა, მაგრამ იგი კრებას არ დაესწრო და ამიტომ მოხსენება მოსკოვის წარმომადგენელმა შესტაკოვმა წაიკითხა. ამ მოხსენებაში დახატული იყო სურათი სკოლის გარეშე განათლებისა ნოვიკოვის დროიდან დაწყებული დღევანდლამდე. ამნაირ განათლებას წინ ათასნაირი დაბრკოლება ეღობებოდ

ხოლმე. მაგრამ ხალხის დაუშრეტელმა წყურვილმა განათლებისა ერთის მხრით და ინტელიგენციის დახმარებამ სძლია თითქმის ყველა დაბრკოლებანი. ხალხს სკოლაში არ უშვებენ, იგი ამიერიდან სკოლის გარედ მიიღებს სწავლა-განათლებას.

კრემლევმა თავის მოხსენებაში ის აზრი გააცარა, რომ სამხატვრო განათლება მკვიდრს ნიადაგზე უნდა დადგეს; ხელოვნება მთელი ხალხის საკუთრებად უნდა გადაიქცეს; მხოლოდ ამისთანა პირობებში შეიძლება მისი უმაღლესი განვითარება. მაგალითები კრემლევს რომისა და საბერძნეთის ისტორიიდან მოჰყავს.

გრაციანოვმა წაიკითხა მოხსენება პოპულიარულ-სამეცნიერო კურსების მოწყობის შესახებ მუშებისათვის. განსაკუთრებით დიდი ყურადღება დაიმსახურა მეჟუევის მოხსენებამ, რომელშიაც გამორკვეული იყო ურთიერთობა სახელმწიფოსა და ხალხის გარეშე განათლების შორის. ბევრი ულაპარაკნია მეჟუევს ინგლისის და ამერიკის შესახებ. ახლომა გათავებულა 5 საათზე.

რუსის ტერორისტები ლოზანაში. (შვეიცარიაში.) ამ რამდენისამე ხნის წინად გაზეთებში მოთავსებული იყო ცნობა, რომ ლოზანაში დაატუსაღეს რუსის ტეროორისტებიო. ამ ამბის შესახებ რუსულ გაზეთებში შემდეგი დაწვრილებითი ცნობებია მოთავსებული.

ლოზანაში დაველის ქუჩაზე უცხოვრია ერთს დიდარ ებრაელს სამეილ სკიროფრევს. 24 დეკემბერს იგი ჩვეულებრივად მუშაობდა თავისს კაბინეთში. მასთან სამი, კოხტად ჩაცმული შეიარაღებული ყმაწვილი კაცი შევარდნილა, რევოლვერი დაუმიზნიათ და ხუთი ათასი ფრანკი მოუთხოვიათ. ფქვინებულ მილიონერს მიუცია, რაც კი მაშინ ფულთა ჰქონია, და დაჰპირებია, დანარჩენსაც ხვალ მოგცემთო. როდესაც მეორე დღეს მილიონერთან მისულა ახალგაზდა ქალი, ანნა შვარცი. სკირას ეზობლებს პოლიციელებისათვის შეუტყობინებიათ ეს ამბავი და მათაც დაუტუსაღებიათ შვარცი, ოჯახის სახლშიაც ანარქისტ-კომუნისტების ბეჭედი აღმოუჩენიათ. ქალის დატუსაღების დროს ერთს ყმაწვილ კაცს, რომელიც თან ახლდა მას, ბაშინელი წინააღმდეგობა გაუწევია. იმ დღესვე შვარცის სადგომში რამდენიმე კაცი მისულა და პოლიციას ყველა ისინი დაუტუსაღებია. პოლიციას აღმოუჩენია 87 რევოლვერი და სხვა და სხვა იარაღი. აქამდის 29 კაცი დაუტუსაღებიათ, ამათ რიცხვში ორი ქალია. დატუსაღებულთა უმრავლესობა ლოზანის უნივერსიტეტის სტუდენტებად ირიცხება.

ჩინეთი. საყურადღებო წერილია დაბეჭდილი „რუს"-ში. ამ წერილიდან მკითხველი გებულობს, რომ ჩინეთში გასაოცარი მზადება ყოფილა. ბიუროკრატიას არა სჯერა, რომ შორეულ აღმოსავლეთში ცა ისევ ილრუბლება. მაგრამ საქმის მდგომარეობა კი იმნაირია, რომ ადვილად შესაძლებელია რუსეთის საზარალოთ ერთხელ კიდევ დაიჭექოს მეხმა შორეულ აღმოსავლეთში. ჩინეთიდან კორესპონდენტები იუწყებიან, რომ ჩინეთს ევროპიულად გაწვრთნილი ჯარი ბლომადა ჰყავს, მხოლოდ ევროპიელებს განზრახ სახელდახელოდ შედგენილ ჯარებს აჩვენებენ ხოლმეო. ჩინეთის შუაგულში ცხოვრება დუღს და გადმოდუღს. მიყრუებულ პროვინციებში ახალ პოლკებს ადგენენ. გერმანიისა და იაპონიის ინსტრუკტორები ენერგიულად ასწავლიან ჩინელთა ჯარის კაცებს, ევროპიულსა და რუსულ გაზეთებში დაბეჭდილი ცნობები, რომ ჩინეთს ამ ჟამად 3—4 ევროპიულად გაწვრთნილი პოლკის მეტი არა ჰყავსო, ჩინელების მიერვე განზრახ მოგონილი ჭორიაო, იწერებიან კორესპონდენტები. ჩინეთს უკვე ეხლავე ორასი ათასი ევროპიულად გაწვრთნილი ჯარი შეუძლიან გამოიყვანოს. მასა აქვს მშვენიერი არტილერია, შორსა და ჩქარა მსროლელი ზარბაზნები. ჯარში მშვენიერი დისციპლინაა შემოღებული. ამასთანავე ერთად ჯარის რიცხვი ყოველ კვირა იზრდება. ყველაფერს ამას ზედ ერთვის უკიდურესი სიძულვილი რუსებისადმი. ჩინელები ჯარებს აგროვებენ და ჯარის-კაცებში რუსებისადმი სიძულვილსა სთესავენ, თითქოს ეს გაცხარებული მუშაობა მთლად რუსეთის საწინააღმდეგოთ იყოს დაწყებული. რუსებისადმი სიძულვილი ისეთი ძლიერია, რომ ამაზე სულ მიყრუებულ პროვინციებშიაც კი ლაპარაკობენ. რომ ჩინელები მართლა რაღაცისთვისაც ემზადებიან, ეს, სხვათა შორის, შემდეგ გარემოებიდანაცა სჩანს. ჩინელი ვაჭრები ხელ-შეკრულობას ყოველთვის ერთი წლითა ჰკრავენ ხოლმე, 31 დეკემბრამდე. წელს კი თითქმის ყველა ვაჭრებმა 1 ივნისამდე შეჰკრეს. როდესაც ვაჭრებსა ჰკითხეს,

რათ შვრებით ამასაო, მათ უპასუხეს: — ძალიან არეული დროა, ჩვენ ახალ-წელიწადის შემდეგ ბევრს რამეს მოველით და ამიტომ ფრთხილად ვიქცევითო. ასეთს მზადებაშია უდიდესი სახელმწიფო მთელი ქვეყნისა, იაპონელები აქეზებენ ჩინელებს. ვის წინააღმდეგ გაილაშქრებს ეს ზღვა ხალხი, — ამას, უეჭველია, ახლო მომავალი დაგვანახვებს.

***

სხვა და სხვა სამინისტროები აუარებელ კანონ-პროექტებს ადგენენ. ერთი ამ კანონ-პროექტთაგანია პროექტი იუსტიციის სამინისტროსი, რომელსაც აზრადა აქვს არჩეულ მოსამართლეთა ინსტიტუტი აღადგინოს. მაგრამ ამ პროექტს ჩვეულებრივი, ბიუროკრატიული, ხასიათი აქვს. სამინისტროს პროექტი იმნაირად არის შედგენილი, რომ დღევანდელ სასამართლოს მხოლოდ სახელი ეცვლება და არა შინაარსი. სამინისტროს პროექტით მოსამართლეობაზე კენჭი მხოლოდ იმას შეუძლიან იყაროს, ვისაც 30,000 მანეთი აქვს სატახტო ქალაქებისთვის და 15,000 მანეთი მაზრებისთვის. ამ საკითხს ეხება „გოლ. მოს." და ამბობს:

„იუსტიციის სამინისტროს პროექტი არჩეულ მოსამართლეთა ინსტიტუტს კი არ უბრუნდება, არამედ მხოლოდ მის სახელს. არსებითად სასამართლო არჩეული არ იქნება, მაშასადამე, ფაქტიურად ამ ინსტიტუტის იდეა ძირშივე იქნება გაუქმებული."

ეს კი მოხდება ამიტომ, რომ ასეთი დიდი ცენზიანი კანდიდატები ამ ადგილზე ძნელი მოსაძებნი იქნებიან.

„სამინისტრო წინადადებას იძლევა, სადაც ასეთი ცენზიანი კანდიდატები არ მოიძებნებიან, იქ ჩვენ თითონ დავნიშნავთ ხოლმე კანდიდატებსაო, უეჭველია სასამართლო ფაქტიურად ბიუროკრატიულ ხასიათს მიიღებს."

ასეთივეა ხოლმე სხვა კანონ პროექტებიც სამინისტოებისა. რუსეთის ბიუროკრატიას არას გზით არ უნდა ფართო ასპარეზი მისცეს საზოგადოების თვით-მოქმედებას. ის ათასნაირ კანონ-პროექტებს ადგენს, მაგრამ ყველა ისინი ისეთისავე ღირსებისაა, რანაირიც კანონ-პროექტი არჩეულ მოსამართლეთა შესახებ.

ახალი ამბები და შენიშვნები.

*** ბიურროკრატიულ წრეებში. ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად და შემდეგ ტფ. სამრევლო საეკლესიო სკოლების მეთვალ-ყურედ ნამყოფი ნ. გ. ტატიშვილი დროებით დაუნიშნავთ კავკასიის მიწათ-მოქმედების ინსპექტორად, ხოლო ინსპექტორი ბ-ნი ვასილიევი — მიწათ-მოქმედების რწმუნებულად კავკასიაში, რადგან რწმუნებული დათვაძე პეტერბურგშია გაწვეული. როგორც ამბობენ, ბ-ნ დათვაძეს სხვა რაღაც დიდ თანამდებობას აძლევენ.

იქნება ეხლა მაინც ამოიგოს იმერეთის სამღვდელოებამ ტატიშვილისაგან შეჭმული სასწავლებლის ფულები?. ვის ეგონა, რომ ამისთანა კაცებს ამისთანა საპატიო ადგილებს მისცემდენ?!.

*** სამრევლო-საეკლესიო სკოლების საოლქო მეთვალ-ყურედ, დეკ. ვოსტორგოვის ნაცვლად, დაუნიშნავთ საეპარქიო სამრევლო სკოლების ზედამხედველი პატრიოტულ საზოგადოების წევრი ცნობილი ოდოევი. წინად ამბობდნენ, ამ თანამდებობას სულ აუქმებენო, მაგრამ ეს ხმა არ გამართლდა.

*** ამიერ კავკასიის სხვა და სხვა ადგილებიდან ტფილისში ჩამოვიდნენ მაჰმადიანთა დელეგატები. დელეგატებს უნდათ შუამდგომლობა აღძრან ნამესტნიკის წინაშე, რომ მაჰმადიანებს უფლება მიეცეთ აირჩიონ ხოლმე ამიერ კავკასიის შეიხ-ულ-ისლამი. აქამდე შეიხ-ულ-ისლამს მთავრობა ნიშნავდა.

*** როგორც გაზეთი „სლოვო" გადმოგვცემს, გზათა მინისტრის განკარგულებით ადგენენ სიას რკინის გზის იმ მოსამსახურეებისას, რომელთაც განმათავისუფლებელ მოძრაობაში რაიმე მონაწილეობა მიიღეს, სამინისტროს აზრათა ჰქონია ესენი სამსახურიდან დაითხოვოს და სხვა რკინის გზებზე შესვლის ნებაც წაართვას.

*** ქუთაისის სამხედრო სასამართლომ ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა დავით კეკუას, რომელსაც ჰბრალდებოდა გოროდოვოის ჯაფარიძის და უბნის ზედამხედველის ლორთქიფანიძის დაჭრა. კეკუა გიმნაზიის მოწაფედ ყოფილა.

*** ქალაქ მიუნხენში დაუტუსაღებიათ ერთი ქალი, რომელსაც სურდა ბანკში 500 მანეთიანი

დაეხურდავებინა. კასირს ეჭვი მიუტანია, გაუსინჯია გატაცებული ფულები და აღმოუჩენია, რომ ეს ფული ერევნის მოედნიდან გატაცებულთაგანი იყო. კასირს პოლიციაში შეუტყობინებია და ქალი დაუჭერიათ. როდესაც პოლიციელები ქალს ატუსაღებდნენ, მას ქაღალდის პატარა ნაგლეჯი დაუხევია და გადაყლაპვა განუზრახავს, მაგრამ პოლიციელებს ქაღალდები ხელიდან გამოუგლეჯიათ. ამ ქაღალდიდან გაუგიათ, რომ ეს ქალი პარიზიდან კიდევ ორ თანამოაზრეს მოელოდა. პოლიციას მაშინვე თავისი აგენტები გაუგზავნია სადგურზე და იქ ორი ყმაწვილი კაცი კიდევ დაუტუსაღებიათ. კორესპონდენტები იუწყებიან, რომ აქცენტითა და ტიპით ორივენი კავკასიელებსა ჰგვანანო.

*** გუშინ, დილის 7 საათზე, ნავთლუღში სისრულეში მოიყვანეს სამხედრო საოლქო სასამართლოს განაჩენი, რომლითაც დახვრეტა ჰქონდა გადაწყვეტილი ვასილ ბიძინაშვილს. ბიძინაშვილს ჰბრალდებოდა თავდასხმა და მოკვლა ენფიანჯიანცის ქარხნის მეარტელეს სიმონ გაგლოევისა.

*** ქუთაისში ბალხოვანის ქუჩაზე აღმოუჩენიათ მშვენივრად მოწყობილი საიდუმლო სტამბა. მრავლად უნახავთ რუსული და ქართული შრიფტი და აკრძალული ლიტერატურა. იქვე უნახავთ ექვსი გაუტენავი ყუმბარა, გასატენი მასალა, პატრონები, ხანჯლები და სხვა იარაღები,

*** 19 იანვარს გათენებისას თევზიევის სახლში ორჯონიკიძის ბინაზე პოლიციამ აღმოაჩინა მშვენივრად მოწყობილი სახელოსნო ათ-თუმნიანების დასამზადებლად. უკვე დამზადებული უნახავთ ნახევარ მილიონზე მეტი. არიან დაპატიმრებულნი.

*** სამხედრო სასამართლომ გიმნაზიის ორი მოსწავლე გაამართლა, ხოლო 19 წლის დავით კეკუას ჩამოხრჩობა მიუსაჯა. კეკუას ჰბრალდებოდა პოლიციელის ჯაფარიძის მოკვლა და უბნის ზედამხედველის ლორქიფანიძის დაჭრა. გამამტყუნებელი და კეკუას წინააღმდეგი საბუთი ის იყო მხოლოდ, რომ მკვლელობის შემდეგ ცენტრალურ უბნის ბოქაულს ვიღაცამ აცნობა, მკვლელი მაჩაბლის ბინაზეაო. ბაჩხრიკეს ბინა და კეკუა აღმოაჩინეს იქ. პირველსა და მეორე ჩვენებაზე დაჭრილმა ლორთქიფანიძემ ვერ იცნო გარეგნობით დ. კეკუა იმ პირად, რომელმაც ის დასჭრა, ხოლო საქმის გარჩევის დღეს თითქო იცნო. პოლიციის მოხელეებმა განაცხადეს, ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ მკვლელი კეკუაა, მაგრამ ვერ ვასახელებთ იმათ, ვინც ეს ნამდვილად იცის, რადგან ისინი შიშით ჭეშმარიტ ჩვენებას არ მისცემენო. კეკუას იცავდა ვექილა ალექსანდრე საყვარელიძე.

ვექილმა საყვარელიძემ საქმე მთავარ სამხედრო სასამართლოში განასაჩივრა და ამასთან ნამესტნიკის სახელზე ცალკე თხოვნა გაგზავნა. 15 ანვარს სასამართლოს განაჩენი სისრულეში მოიყვანეს.

*** 16 იანვარს პოლიცმეისტრის თანაშემწემ და უბნის ბოქაულმა დილის 11 საათზე ქართულ გიმნაზიაში შეიპყრეს მეშვიდე კლასის მოსწავლე ს. ჩარკვიანი. იგი სატუსაღოში გააგზავნეს. ნამდვილი მიზეზი დატუსაღებისა ვერ გავიგეთ, მხოლოდ ხმა დადის, რომ პოლიციელის მოკვლას აბრალებენო.

*** ცნობილმა მღვდელმა პეტროვმა მიტროპოლიტ ანტონის მისწერა წერილი, რომელშიაც მისი პოლიტიკური და სარწმუნოებრივი შეხედულებანი იყო აღნუსხული. შემდეგ ეს წერილი პეტროვმა ცალკე წიგნად დაბეჭდა და ხალხში გაავრცელა. სინოდმა 12 ნოემბერს მოისმინა მიტროპოლიტის მოხსენება პეტროვის შესახებ, წიგნი განიხილა და დაასკვნა, რომ წიგნში მართლმადიდებელ ეკკლესიისა და არსებულ წეს-წყობილების აზრებია გამოთქმულია. სინოდმა, როგორც მოსალოდნელი იყო, დაჰგმო რევოლიუციონური წიგნი და ავტორიც მღვდლობიდან გადააყენა.

*** შინაგან საქმეთა სამინისტროს სათათბიროში შეუტანია კანონ-პროექტი... საიდუმლო პოლიციის რეორგანიზაციის შესახებ. კანონ-პროექტის საფუძველი ამნაირია. ხუთას ათას მცხოვრებზე ერთი ათასი მანათი ხარჯი მოდის. საიდუმლო პოლიცია რამდენიმე ხარისხისა ყოფილა. პირველი ხარისხის საიდუმლო პოლიცია ტფილისსა და ხარკოვში ყოფილა. სამინისტროს ეხლა სურს პირველი ხარისხის პოლიცია სხვა ქალაქებშიაც შემოიღოს, მეორე ხარისხისა—თერთმეტ ქალაქში, მესამე ხარისხისა—ბევრს წვრილ ქალაქებში. ჩვენც ვიტყვით, პარლამენტი გვაქვს, და დეპუტატები რუსეთის განახლებისთვის მუშაობენო...

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ საზოგადოებასა და გვეთილ-ზნეობაზე.

სჯულდებითი წიგნები ძველი აღთქმისა.*)

ნაწილი II.

(II 4—XI,26)

იყვნენ ორნივე შიშველ, ადამ და ცოლი მისი და არა რცხვენოდათ (II, 25). ამ სიტყვებით გამოხატავს დაბადება ადამ და ევას ზნეობითს მდგომარეობას სამოთხეში. სიტიტვლე გამოიწვევს ხოლმე სირცხვილის გრძნობას მიტომ რომ, მაყურებელში აღძრავს უწესო ხორციელს მოძრაობას და გულის თქმას. მაგრამ ადამ და ევა, ღვთის მცნების დარღვევამდე. არ იტარებდნენ გონებაში რაიმე არაწმიდა აზრებს; მათი ნათელი გონება არ იყო დაბნელებული ცუდი გულის თქმით; მათი სქესობრივი დამოკიდებულება არ იყო ცუდი თვისებისა, რადგანაც მისი მიზანი იყო არა გულისთქმის დაკმაყოფილება, არამედ აღსრულება ღვთის ბრძანებისა: „აღორძინდით და გამრავლდით“. იგინი ერთმანეთში არა ხედავდნენ რაიმე ცუდს, აზრებს და ამიტომ არცა რცხვენოდათ თავისი სიშიშვლისა. რამდენი ხანი გაგრძელდა ადამ და ევას უმანკოება და ნეტარება სამოთხეში, არ ვიცით.

კაცმა არ შეასრულა ღვთის ბრძანება; გველის-ეშმაკის ცდუნებით ეურჩა ღმერთს და ჭამა აღკრძალული ნაყოფი. შედეგი ღვთის მცნების დარღვევისა მაშინვე გამოცხადდა; ადამ და ევას აეხილათ თვალები, იხილეს თვისი სიშიშვლე და შერცხვათ. ღმერთმა ინება მათი სინანულად მოწოდება; სინანული ადამ და ევასი არ იყო გულწრფელი. შემდეგ ღმერთმა გამოუცხადა თვისი სასჯელი გველსა, რომელმაც ამ სასჯელის გამო დაკარგა რაოდენიმე ბუნებითი სისრულე.

*) იხ. „მწყემსი“ № 24 1907 წ.

გველისთვის მიცემულს სასჯელში გამოცხადდა შეცოდებულ კაცთათვის იმედი და აღთქმა მისი, რომ ეშმაკი საბოლოოდ არ იქნება ბატონი და მფლობელი კაცისა. მტერობა დავდვა შორის შენსა და შორის დედაკაცისა, და შორის თესლისა შენისა და შორის თესლისა მისისა: იგი უმზირდეს თავსა შენსა და შენ უმზირდე ბრჭალსა მისსა (15). დედაკაცის თესლად აქ იგულისხმება განსაკუთრებით იესო მაცხოვარი; ხოლო ეშმაკის თესლად ბოროტი სულები და უმთავრესად ანტიქრისტე. ამ აღთქმის თანახმად, არ იქმნება მშვიდობიანი განწყობილება დედაკაცის და ეშმაკის ნათესავთა შორის; მტრობა იმაში გამოიხატება, რომ თესლი დედაკაცისა უმზერს, ანუ უდარილებს, რათა შემუსროს თავი ეშმაკისა და საბოლოოდ შემუსრავს კიდეც (იონე III, 8); ხოლო ეშკაკის თესლი უმზერს, ანუ უდარილებს, რომ ავნოს დედაკაცის თესლს ბრჭალში (ფრჩხილში); ბუნებრივი გველის მოკვლა შეიძლება მხოლოდ მისი თავის გასრესით, მსგავსადვე ამისა, სულიერი გველის მოკვლა და დათრუგვნა შეიძლება მხოლოდ მისი თავის გასრესით. იესომ სძლია ეშმაკი და მისი თესლი ჯვარზედ სიკვდილით რომლის უწინარესაც სთქვა: აწ მთავარი იგი ამის სოფლისა განვარდეს გარე (იოანე 22 31); სიცოცხლის დროსაც ქრისტეს არა ერთხელ უძლევია ეშმაკი. სულიწმიდის მოფენის შემდეგ, ქვეყანაზე ქრისტიანობის გავრცელებით საგრძნობელად შემცირდა სივრცე ეშმაკის სამეფოსი, მაგრამ სრული დამხობა მისი იქმნება ქრისტეს მეორედ მოსვლის დროს. ეშმაკის თესლსაც ეძლევა უფლება ზიანი მიაყენოს კაცს და ქრისტესაც, მაგრამ ეს ზიანი არ იქმნება მძიმე კაცისთვის (რადგან ფრჩხილის ტკივილი არაფერს შეადგენს შედარებით თავის დათრუგვნასთან).

სასჯელი შეცოდებისათვის ღმერთმა ადამ და ევასაც გამოუცხადა. შვილიერება, წყარო ღვთის კურთხევისა და წყალობისა ევასთვის გარდაიქცა ღვთის რისხვის იარაღად; შვილიერებას თან ახლდება მწუხარება, ტკივილი და სულთქმა, რადგანაც, ცოდვის მეოხებით, დედაკაცის ხორციელი ძალი დასუსტდა, ნაყოფიერს დედამიწას კაცის ცოდვის გამო მიესაჯა მცირე ნაყოფიერება ან სულ უნაყოფობა; ის რომელიც უწინ სჭამდა სამოთხის ხეთა ნაყოფს, დღეს უნდა სჭამდეს თივასა ველისასა. შეცოდებამდისაც უნდა ემუშავნა ადამს სამოთხეში,

მაგრამ მაშინ ეს შრომა მიწის ფრიად ნაყოფიერებისა და კაცის სიძლიერის გამო, არ იყო მისთვის მძიმე და დამღალავი; ეხლა კი, შემდეგ შეცოდებისა, ადამს მიესაჯა ჯაფა მძიმე და ძნელი და ნაკლებად ნაყოფიერი. მხოლოდ სიკვდილს შეეძლო ადამის განთავისუფლება ურჩ ბუნებასთან ბრძოლისგან: ოფლისა პირისა შენისათა სჭამდე პურსა შენსა, ვიდრე მიქცევამდე შენდა მიწად, რომლისაგან მოდებულ იქმნენ (3, 9).

სასჯელის გამოცხადების შემდეგ, ღმერთმა გამოხადა ადამ და ევა სამოთხიდან; ისინი დასახლდნენ სამოთხესთან ახლო. (3, 14—21).

შვილიერება, რომელიც მიანიჭა ღმერთმა ადამ და ევას სამოთხეში, არ შეწყვეტილა სამოთხიდან განდევნის შემდეგაც; მათ იმედი ჰქონდათ, რომ თუ თვითონ არა, მათი შვილები მაინც მოესწრობოდნენ გველის თავის შემმუსვრელის მოსვლას. ადამ და ევას დაებადნენ ვაჟები კაენი და აბელი; პირველი იყო მიწის მუშა, მეორე მწყემსი ცხოვართა; ერთხელ ამათ შესწირეს ღმერთს მსხვერპლი თავ-თავის ნაშრომისაგან. უეჭველია თვით უფალმა დააწესა მსხვერპლ-შეწირვა. მსხვერპლის შეწირვა არის პირველი ღვთის მსახურება და იგი აქვს ყველა ერს. თვით ღმერთს არ ეჭირება მსხვერპლი, რადგანაც უმისოდაც ყველაფერი ღვთისაა, მაგრამ მსხვერპლის შეწირვით კაცი გამოხატავს თავის მორჩილებას ღვთისადმი, უცხადებს მას მადლობას მოცემული კეთილისათვის და ადიდებს მას.—რადგანაც აბელმა მსხვერპლი შესწირა სარწმუნოებით, (ებრ 11, 4) ღმერთმაც მიიღო იგი, კაენისა კი, როგორც არა სარწმუნოებით შეწირული, არ მიიღო. ამიტომ კაენმა გაიტყუილა თვისი ძმა აბელი მიდორში და მოკლა იგი. (VI 1-16).

ადამ და ევას კიდევ გაუჩნდათ ვაჟი, რომელსაც უწოდეს სახელად სეთი. სეითით იწყება კეთილ-მსახურ და ღვთის მოსავ-პირთა გუნდი, რომელთაც ეწოდება მამათ-მთავარნი. სეითის შთამომავლობაში დაცული იქმნა ჭეშმარიტი ღვთის რჯული და მსახურება. მამათ-მთავარნი დიდ ხანს სცოცხლობდნენ; ყველაზე მეტი ხანი იცოცხლა მამათ-მთავარმა მათუსალამ.

ყურადღების ღირსია დღეგრძელობა მამათ-მთავართა; ამაში ცხადად სჩანს განგება ღვთისა. მამათ-მთავართა დიდ ხანს სიცოცხლე საჭირო იყო მისთვის, რომ უცვლელად დაცულიყო კაცობრიობაში ღვთის განცხადება და ჭეშმარიტი სჯული. მაშინ, როცა სჯული ჯერ არ იყო დაწერილი, მამათ-მთავარნი წარმოადგენდნენ ცოცხალს წიგნს ღვთის განცხადებისას. ერთსა და იმავე პირს შეეძლო თვითონაც გაეგონა და სხვისთვისაც გარდაეცა ღვთის ბრძანება მთელი საუკუნოებით; მაგალითად, ნოემ, 600 წელიწადი იცოცხლა. თვით ბუნება, რომელიც მაშინ ჯერ ისე არ იყო განხრწნილი ცოდვით, როგორც ეხლა, ხელს უწყობდა მამათ-მთავართა დღეგრძელობას. ყველა მამათ-მთავარნი მიიცვალნენ, გარდა ენუქისა, რომელსაც ღვთის სათნო და წმადა ცხოვრებისათვის, არ უხილავს გემო სიკვდილისა. (V თ.)

გამრავლდა ნათესავი კაცთა. ძეთა დვთისაჲთა, ანუ სეითის კეთილმსახურმა შთამომავლობამ იხილეს ასულნი კაცთანი, ანუ კაენის ტომის ქალნი. მოეწონათ მათი სიმშვენიერე და მოიყვანეს იგინი ცოლად. ამ შერევისა გამო გაჩნდა გარყვნილება კაცთა შორის; ამ გარყვნილებამ შთანთქა და დაფარა კაცთა გულში ყოველივე მაღალი სულიერი მოთხოვნილებანი, ასე რომ სული ღვთისა აღარ მკვიდრობდა მათთან. ბოროტება იმოდენად გავრცელდა, რომ ღმერთმა დასდვა ყველას გაწყვეტა კაცთაგან ჰირუტეამდე; მხოლოდ ერთი მამათ-მთავარი ნოე იყო, რომელმაც ჰპოვა მადლი წინაშე ღვთისა. ამას უბრძანა ღმერთმა გაეკეთებინა კიდობანი, რომელშიც უნდა შესულიყო თვითონ თავისი ცოლ-შვილით და რძლებით და შეეყვანა თან ცხოველები ფრინველები წმიდათაგან შვიდ-შვიდი წყვილი, ხოლო არა წმიდათაგან ორ-ორი. წარღვნას გადარჩნენ მხოლოდ ისინი, ვინც იყვნენ ნოესთან კიდობანში. წარღვნის წყალმა გაწმინდა დედა მიწა ბოროტების გან. კიდობანი ნოესი საიდუმლოდ ნიშნავს ქრისტეს ეკკლესიას, რომელშიც მორწმუნენი პოვებენ ნუგეშს და ხსნას სოფლის ცოდვათა ღელვისაგან. წარღვნის წყალი-კი ნიშნავს მაცხოვნებელს და გამწმედელს ძალას ნათლის ღების წყლისას (პეტ. 3, 2). (6, 1-2ż).

გაგრძელება იქნება.

საჭირო კალენდარული ცნობანი

კვირიაკის, ხმის და სტიხეგრო სახარების მაჩვენებელი 1908 წელში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვენი.	რიცხვი.	კვირიაკე.	ხ მ ს.	სტ. სახარ.
	—	—	—	—
იანვარი.	1	—	4	დდის
	6	დდის	დდის.	დდის
	13	31	6	9
	20	32	7	10
	27	33	8	11
თებერვალი.	3	34	1	1
	10	35	2	2
	17	36	3	3
	24	ყ. დ.	4	4
მ ა რ ტ ი.	2	მ. კ.	5	5
	9	2 კ.მ.	6	6
	16	3 კ.მ.	7	7
	23	4 კ.მ.	8	8
	30	5 კ.მ.	1	9
აპრილი.	6	ბზობა	2	10
	13	ბრწყ.	ადდ	გოშა.
	20	თ. კ.	ნ	1
	27	3	ა	
			ღ	
მ ა ი ს ი.	4	4	ი	3
	11	5	ი	4
	18	6	ღ	8
	25	7	ზ ა	10
ი ვ ნ ი ს ი.	1	8	დდის.	დდის
სულთა წმიდის კარდმ.	8	1	1	1
	15	2	1	2
	22	3	2	3
	29	4	3	4

თვენი.	რიცხვი.	კვირიაკე.	ხ მ ს.	სტ. სახარ.
	—	—	—	—
ივლისი.	6	5	4	5
	13	6	5	6
	20	7	6	7
	27	8	7	8
აგვისტო.	3	9	8	9
	10	10	1	10
	17	11	2	11
	24	12	3	1
	31	13	4	2
სექტემბერი.	7	14	5	3
	14	15	6	4
	21	16	7	5
	28	17	8	6
ოქტომბერი.	5	18	1	7
	12	19	2	8
	19	20	3	9
	26	21	4	10
ნოემბერი.	2	22	5	11
	9	23	6	1
	16	24	7	2
	23	25	8	3
	30	26	1	4
დეკემბერი.	7	27	2	5
	14	28	3	6
	21	29	4	7
	28	30	5	8

უქმე დღეები როდესაც სახელმწიფო დაწესებულებებში და სასწავლებლებში სწავლება არ არის.

იანვარი. 1 ახალი წელიწადი (სამშაბათი).
6 ნათლისღება (კვირა).
14 დღეობა წმ. მოციქულთა სწორისა ნინო ქართველთა განმანათლებელისა (ორშაბათი).

თებერვ. 2 მირქმა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი (შაბათი).
22—23 პარასკევი, შაბათი და ყველიერისა.

მარტი. 25 ხარება ყოვლად წმ. ღვთის მშობლისა (სამშაბათი).

აპრილი. 6 ბზობა (კვირა).
10—11—12 ხუთშაბათი, პარასკევი და შაბათი ვნების კვირისა.
13—20 ბრწყინვალე კვირიაკე. **აღდგომა ქრისტესი** (კვირა).
23 სახელწოდება ხელმწიფე იმპერატრიცასი და გიორგობა (ოთხშაბათი).

მაისი. 6 დაბადება იმპერატორისა (სამშაბათი).
9 წმ. ნიკოლოზ საკვირველ-მომქმედისა (პარასკევი).
14 გვირგვინოსნება მათი იმპერატორეებითის დიდებულებათა.
22 ამაღლება უფლისა იესო ქრისტესი (ხუთშაბათი).
25 იმპერატრიცას დაბადების დღესასწაული (კვირა).

ივნისი. 1 სული-წმიდის გარდმოსვლა (კვირა).
2 სული-წმიდის დღეობა (ორშაბათი).
29 წმ. მოციქულთა პეტრესი და პავლესი (კვირა).

ივლისი. 22 სახელწოდება მქვრივი იმპერატრიცასი (სამშაბათი).
30 მემკვიდრის დაბადების დღეობა (ოთხშაბათი).

აგვისტო. 6 ფერისცვალება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი (ოთხშაბათი).
15 მიძინება ყოვლად წმიდა ღვთის მშობლისა (პარასკევი).
29 თავის კვეთა იოანნე ნათლის მცემლისა (პარასკევი).
30 ალექსანდრე ნეველის დღეობა. (შაბ.)

სექტემბ. 8 შობა ყოვლად წმიდა ღვთის მშობლისა (ორშაბათი).
14 მსოფლიო ამაღლება პატიოსანისა ჯვარისა (კვირა).
26 მიძინება წმ. მოციქულისა და მახარობელისა იოანნე ნათლის-მცემლისა (პარასკევი).

ოქტომბ. 1 ხსენება წმ. სვეტისა ცხოველ მყოფელისა და კვართისა უფლისა (ოთხშაბ.)
5 სახელწოდება მემკვიდრე ცესარევიჩისა (კვირა).
21 ტახტზე ასვლა ხელმწიფე იმპერატორისა (სამშაბათი).
22 დღესასწაული ყაზანის ღვთის მშობლის ხატისა (ოთხშაბათი).

ნოემბრ. 14 დაბადება მქვრივი იმპერატრიცასი (პარასკევი),
21 ტაძრად მიყვანა ყოვლად წმიდა ღვთის მშობლისა (პარასკევი).

დეკემბრ. 6 სახელწოდება ხელმწიფე იმპერატორისა (შაბათი).
25—27 შობა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი (ხუთშაბათი).

მზის დაბნელება იქნება 1908 წელში ორჯერ 15 ივნისს ნაშუადღევის 4 საათზე. დაინახება ამერიკაში, მწყნარ ოკეანეზე და აფრიკის დასავლეთ მხარეებში—და ათ დეკემბერს; დაიწყება 11 საათზე და 37 მინუტზე დილით. დაინახება მარტო სამხრეთ ამერიკაში.

მთვარის დაბნელება მოხდება 25 ნოემბერს. ჩვენში არ დაინახება.

ბრიუსოვის კალენდრის წინასწარმეტყველება ამიდზე.

გაზაფხული იქნება სასიამოვნო და სასარგებლო ყოველგვარი ხეხილებისათვის.

ზაფხული ნესტიანი და მავნებელი მცენარეულობისთვის.

შემოდგომა იქნება დაგვიანებული და ცივი.

ზამთარი იქნება გრძელი და ძლიერ ყინვიანი. პური გაძვირდება.

შეწირულება.

უმორჩილესად გთხოვთ თქვენი გაზეთის „მწყემსის“ საშუალებით ჩემი ულრმესი მადლობა გამოუცხადო რწმუნებულს ჩემდამო ზედარგნი სამრეველოში მცხოვრებს აზნაურს გრიგორს (იგივე ჯიბო) იოსების ძეს აბაშიძეს, რომელმაც რწმუნებულს ჩემდამო ზედარგნის წმიდის მთავარანგელოზის ეკკლესიას 1907 წ. ივლისის თვის 22 რიცხვში შემოსწირა ოდიკი, ღირებული ხუთ მანეთად და ოდიკის სახვევი ატლასის მატერიისა ღირებული რვა აბაზათ და სრულიად ექვსი მანეთის და სამი აბაზის.

მდგ. ბ. ჯაშაძე.

რედაქციის პასუხი.

მდ. ბ. ოსიძეს. არ ვიცით, რომელი პატარა ჟავნი და დავითნი გნებავსთ? ჟავნი და დავითნი ერთნაირია ყველა ჩვენში. გადაათვალიერეთ ჩვენი წიგნების განცხადება და იქიდამ ყველას გაიგებთ.

მდ. გ. კალანდარიშვილს. დიდად გმადლობთ თქვენი თანაგრძნობისათვის. ეგრე რომ სხვა ჩვენი მოძმენიც მოიქცენ მაშინ ჩვენი საზოგადო საქმე კეთილად წარემართება. ჩვენ 1907 წლის ხელის მომწერლებს კარგა ბლომად წიგნები დაურიგეთ როგორც ჩვენგან ისე სხვა პატივცემულ პირთაგან გამოგზავნილი უფულოდ გასავრცელებლად სამწყსოთა შორის. თქვენ ამ წიგნებს ცალკე წერილით მიიღებთ.

ზოგიერთებს. უფულოდ „მწყემსი“-ს ჟურნალს აღარავის უგზავნით, რადგან მწარე გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ ჩვენ წოდებაშიც ბევრი ყოფილა ექსპროპრიატორები ხალხის განთავისუფლებისთვის კი არა, არამედ თავის ჯიბის სასარგებლოდ!

ვისაც სრულად ჟურნალის ფული არ წარმოუდგენია ის საჩუქარ წიგნებს ვერ მიიღებს.

რამდენიმე მედავითნეს. მღვდელი ვალდებულია „მწვემსი“-ს ჟურნალი მედავითნეებსაც წააკითხონ. მედავითნე კრებულის წევრია და რა ნება აქვს მღვდელს, რომ ჟურნალი არ მისცეს წასაკითხავად განსაკუთრებით მაშინ როცა მარტო მღვდლის ფულით არ იწერება იგი?..

განცხადება.

მიიღება ხელის-მოწერა 1908 წლისათვის ორკვირეულ ჟურნალს

XXV წ. „მწყემს“-ზე XXV წ.

ჟურნალის ფასი:

12 თვით 3 მან.—6 თვით 2 მან.

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება დაბა ყვირილაში რედაქციაში, თბილისში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. ვისაც ნაწილ ნაწილად სურს ხელმოსაწერი ფულის შემოტანა მან უნდა წარმოადგინოს პირველ იანვარს 1 მ. პირველ აპრილს 1 მ. ⁄ პირველ ივლისს 1 მ. სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთები დაეთმობათ მთელის წლით ორ მანეთად.

რედაქცია იმყოფება დ. ყვირილაში რედაქტორის საკუთარ სახლებში.

გარეშე მცხოვრებთ ჟურნალის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით: Въ Квирилы, въ редакцію журнала „МЦКЕМСИ“.

რედაქციაში მოიპოვება წარსული წლების რამდენიმე სრული გამოცემანი „მწყემსი“-სა, რომელნიც ყდით ორ მანეთად დაეთმობათ მსურველთ.

რედაქციაში მოიპოვება აგრეთვე მრავალ-გვარი საკითხავი წიგნები და სახელმძღვანელო გამოცემანი, რომელთა კათალოგი დრო-გამოშვებით ჟურნალშიდაც იბეჭდება და მსურველთაც შეიძლება დაიბარონ რედაქციიდან უფასოდ.

რედაქტორ-გამომცემელი დეკანოზი დ. დამბაშიძე.

ყოველ დღიური გაზეთი

„ისარი“

მიიღება ხელის-მოწერა 1908 წ.

გაზეთის ფასი: წლით როგორც ქალაქში, ისე ქალაქს გარეშე—7 მანეთი.

ნახევარი წლით—4 მანეთი.

ერთი თვით—90 კაპ.

2—2

მიიღება ხელის-მოწერა 1908 წელს

საყმაწვილო სურათებიან ჟურნალზე:

Წ. მე-4. **„ᲜᲐᲙᲐᲓᲣᲚᲘ“** წელიწადი მეოთხე.

1908 წელს წლიურ ხელის მომწერდეს მიეცემათ.

24 წიგნი "ნაკადული" მცირე წლოვანთათვის;

12 წიგნი „ნაკადული“ მოზრდილთათვის;

36 სურათი ცნობილ მხატვრებისა **და ᲝᲠᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲐ**

1, კალენდარი ცნობილ მწერალთა სურათებიან ლია წერილებით.

2, „ᲰᲐᲢᲐᲠᲐ ᲛᲐᲬᲐᲜᲬᲐᲚᲐ“ გრინვუდისა.

ᲬᲚᲘᲣᲠᲐᲓ ᲝᲠᲘᲕᲔ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ ᲚᲘᲠᲡ ᲮᲣᲗᲘ ᲛᲐᲜ.

ნახევარის წლით 2 მან. ᲓᲐ 50 კ. ცალ-ცალკე 3 მ.

ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება:
ამ თავით—2 მან. და 50 კ., მაისში—დანარჩენი.

რედაქციის ᲛᲘᲡᲐᲓᲠᲔᲡᲘ: Тифлисъ, Головинскій пр. редак. дѣт. жур. „НАКАДУЛИ“ 3—2

---

50 КНИГЪ 4000 СТР. 1000 РИС.

НАРОДНОЕ ЗДРАВІЕ

Серія популярно-научныхъ и медицинскихъ книгъ.

Цѣна за 50 книгъ 5 руб. съ достав. и перес.

1) **Половая жизнь женщины.** Д-ра Кларуса.
2) **Исторія естественной любви.** М. Нордау.
3) **Психологія поцѣлуя.** Ломброзо.
4. **Психологія женщины.** Патрика.
5. **О рожденіи дѣтей желаемаго пола.** Шенка.
6. **Гигіена менструацій.** Профес. Фюрста.
7) **Болѣзни легкихъ.** Профес. Эйгорсона.
8) **Что такое чума?** Очеркъ В-на.
9) **Падучая болѣзнь.** Профессора Говерса.
10) **Этика половыхъ отношеній.** Г. Спенсера.
11) **Половыя отправленія человѣка.** Стокгема.
12) **Любовь.** А. Шопенгауэра.
13) **Эристика или искусство спорить.** Его-же.
14) **Гигіена цѣломудрія.** Д-ра Корнига.
15) **Алкоголизмъ.** Профес. Бунге.
16) **Астма.** Профессора Бриссо.
17) **Какъ не толстѣть и какъ избавиться отъ дородства діетой.** Д-ра Зальцштейна.
18) **Корь, краснуха и вѣтряная оспа.**
19) **Морфинизмъ.** Профессора Бургордта.
20) **Календаръ беременности.** Д-ра Дедюлина.
21) **Малая хирургія.** Проф. Вольцендорфа.
22) **Болѣзни желудка.** Проф. Боаса.
23) **Философія и гигіена ѣды.** Проф. Билоуса.
24) **Исторія.** Профессора Говерса.
25) **Дѣтскія болѣзни.** Профес. Багинскаго.
26) **Леченіе кумысомъ и кефиромъ.** Д-ра Бубиса.
27) **Насморкъ и его леченіе.** Проф. Брезгена.
28) **Леченіе водой.** Профессора Глакса.
29) **Причины женскихъ болѣзней.** Проф. Говица.
30) **Геморрой.** Признаки, причины, леченіе.
31) **Гигіена волосъ.** Книга для всѣхъ.
32) **Спинная сухотка.** Проф. Читицинга.
33) **Болѣзни сердца.** Профессора Ланге.
34) **Болѣзни почекъ.** Проф. Сенатора.
35) **Экзема и почесуха.** Проф. Вольфа.
36) **Гигіена одежды.** Д-ра Орлова.
37) **Брюшной тифъ.** Профес. Цимсена.
38) **Физіологія человѣка.** Проф. Фредерика.
39) **Южный берегъ Крима.** Д-ра Орлова.
40) **Среднероссійскіе курорты,**—Старая Русса, Сл[illegible] вянскъ, Друскеники, Липецкъ и др.
41) **Діета при разстройст. желудка.** Пр. Вольфа
42) **Тучность.** Профессора Пруста.
43) **Гигіеническіе консервы** и кондитерскія издѣля[illegible] Д-ра Орлова.
44) **Леченіе воздухомъ, леченіе солнцемъ** Пр. Киша.
45) **Желтуха.** Проф. Лихтенштейна.
46) **Гимнастика какъ методъ леченія.** Д-ра Эфрузи.
47) **Болѣзни зубовъ и полости рта.** Проф. Шефа.
48) **Скарлатина.** Профессора Фирордта.
49) **Болѣзни горла.** Профес. Розенберга.
50) **Свѣтолеченіе.** Профессора Нильса.

Всѣ 50 книгъ вышли и высылаются подписчикамъ

Цѣна за всѣ **50** книгъ съ пересылкой [illegible] руб. Въ отдѣльной продажѣ книги стоят[illegible] свыше **20** р. Требованія адресовать: **кон[illegible]тора „НАРОДНАГО ЗДРАВ[illegible]Я“, С.-Петеръургъ, Тро[illegible]ицкая ул; 11.** 6—4

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ.

ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ: წინ მივდევარ[illegible] თუ უკან ვიხევთ? სოფლის ხუცესი.—საეკლესიო წიგნთ-სა[illegible] ვების დაარსება, დ. დ. ღამბაშიძის.—ცეცხლითა და მახვილით[illegible] (წერილი გერმანიიდან) დ. ღ.—სამრევლოების გაფართოება [illegible] შტატების შემცირება და შემოკლება გაუმჯობესებს თუ ა[illegible] სოფლის სამღვდელოების მდგომარეობას, მღ. ბ. ვაშაძის.— სამღვდელოების დეპუტატთა კრება 18 დეკემბერს —ახალ[illegible] სკოლა.—ახალი მეცნიერული გამოკვლევა ᲭᲚᲥᲘᲡ შესახ[illegible] —კრიტიკა და ბიბლიოგრაფია.—ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲓᲐᲜ.—ᲐᲮ[illegible] ᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲘ.

ᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲝᲑᲠᲘᲕ ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝᲑᲐᲡᲐ და **ᲙᲔᲗᲘᲚ-ᲨᲔᲒᲝᲑᲐᲨᲘ:** სჯულდებითი წიგნ[illegible] ძველი აღთქმისა, ნაწილი მეორე.—საჭირო კალენდარულ[illegible] ცნობანი.—შეწირულება.—რედაქციის პასუხი.—განცხადებ[illegible]

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. **Დ.** ღამბაშიძე, 30 იანვარი, 1908 წ.

ᲡᲢᲐᲛᲑᲐ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ „ᲛᲬᲧᲔᲛᲡᲘ“-Ს ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐ (ᲓᲔᲙ. Დ. Ბ. ღᲐᲛᲑᲐᲨᲘᲫᲘᲡᲐ) ᲧᲕᲘᲠᲘᲚᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ.